№ 2897
შაბათი,
27 აგვისტო

ცნობის ფურცელი

№ 2897
შაბათი
27 აგვისტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი გაზეთისა: წლიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—უსახელო წერილები რედაქციის სახელით უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, ნაშუადღევს 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Мозамбе“. ტელეფონი № 37.

ყოველ-დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვით 5 მან. 75 კაპ. 10 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მან., 8 თვით 4 მან. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მან. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაც ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფული გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის“ კანტორა უმორჩილესად სთხოვთ მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებით გამოგზავნოს.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 კაპ. **სურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ნამესტნიკის მიერ დამტკიცებული

დრამატიული კურსები

ტფილისი, მიხეილის პროსპ. № 123. ტელეფონი № 788.

კურსი 3 წლისაა. საგნები, რომელსაც კურსებზე ასწავლიან: მკაფიო გამოთქმა და სასცენო ხელოვნება სომხურ, **ქართულ** და რუსულ ენებზე; გრიმი, ხატვა, ცეკვა, პლასტიკა, მიმიკა, თეატრის ისტორია და ხმის დაწყება.

მიღება **20** ავგვისტოდან ყოველ დღე **12**-დან **3**-მდე და **5**-დან **7** საათამდე, კურსების სადგომში.

პროგრამები იძლევა და იგზავნება უფასოდ. **კურსებთან არსებობს სცენა.**

(20—319—11) კურსების დამაარსებელი **ს. მ. დოლუხანოვისა**

იშვიათი ვაჭრობა

„ძმ. აპოფჯანოვების და სარქისიანცის“

ამხანაგობა

ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გამოვიდა და რადგან საქმის მოწესრიგებაა საჭირო, ამა თვის 11-დან დაინიშნა.

ვაჭრობა

მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი.

100,000 მანეთისა.

მთელი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება **იმაზე ნაკლები ფასები დაინიშნოს, რასაც ამ ვაჭრობის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ.**

საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით უეჭველ კონკურენციის გარეშეა.

ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.

ფასები შეუვაჭრებლად.

ამხანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—91)

თანხმად მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა ყოფილის სამინისტროს განკარგულებისა, კავკასიის სამთამადნო სამმართველოს უფროსის თანაშემწე სტ. სოვ. მ. ი. **ჩინგერი** ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ მის თავმჯდომარეობით **ამა 1905 წლის 27 ენკენისთვისათვის** ქალაქ ქუთაისში დანიშნულია

მერვე მორიგი კრება

შავიქვის მრეწველთა

განსახილველი საგნები:

1) არჩევანები კრების მდივნისა.

2) შავიქვის მრეწველთა საბჭოისა, სარევიზიო კომისიისა და ჭიათურის ლიანდაგზე ვაგონებისა და პლატფორმების გამწესრიგებელ კომიტეტის ანგარიშების განხილვა.

3) მოსმენა სტატისტიკურ ცნობების შესახებ: მადანთა დამუშავებისა, რკინის გზის სადგურებზე დაწყობილ მადნეულობის რაოდენობისა და აგრეთვე ამიერ-კავკასიის რკინის გზის ჭიათურის შტოზე არსებულ მადნის გადასაზიდ ხელსაწყოთა და ბაქანთა შესახებ.

4) გეგმის გადამღებ ბიუროს ორგანიზაცია.

5) სოფელ ჭიათურის პოსადად აღიარება და შემოღება შემოკლებულ თვითმმართველობისა.

6) ჭიათურისა და რკინის გზის სხვა შტოებზე შავი ქვის გადამზიდვის საქმის გასაუმჯობესებლად ზომების მიღება და რკინის გზის და ნავთ-სადგურების შესახები სხვადასხვა საკითხები.

7) გაყვანა ახალის სამრეწველო გზებისა და აწ არსებულთა შეკეთება.

8) შავის ქვის მრეწველთა მუშების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება.

9) დაჯილდოვება შავიქვის მადნებში დაშავებულ მუშებისა, თანახმად 1803 წ. ორის ივნისის კანონისა.

10) საკითხი შავიქვის მრეწველთა საბჭოზე მოსამსახურეთათვის საპენსიო კასსის დაარსების შესახებ.

11) საკითხი საექიმო დახმარების აღმოჩენის შესახებ შავიქვის მრეწველთა, მათ ოჯახობათა, მუშათა და გარეშეთათვის, როგორც საბჭოს საავადმყოფოებისა, ისე ამბულატორიებში.

12) შავი ქვის მრეწველ საბჭოს აწ არსებულ დებულების შეთანხმების საჭიროება და სხვა ცვლილებანი.

13) მადნებში გაყვანილ გზების ხმარების დროს, მადნების პატრონთა ურთიერთობის მოწესრიგება და შავ-ქვის რაიონის გამიჯვნის დაჩქარება.

14) ზომების მიღება იმის შესახებ, რომ შავი ქვის მადნები მალე არ დაცარიელდეს.

15) განხილვა სხვადასხვა პირთა და დაწესებულებათა შუამდგომლობისა საბჭოს თანხიდან ფულით დახმარების აღმოჩენის შესახებ, მაგ., განხილვა ფოთის ნავთ-სადგურის გამგეობის შუამდგომლობისა ნავთ-სადგურის მუშათათვის საავადმყოფოს დაარსებისათვის ფულით დახმარების შესახებ, შავი ქვის წარმოების რაიონში მცხოვრებ გადამწვართა შუამდგომლობა, სტიპენდიების გაღება და სხვა.

16) განხილვა და დამტკიცება საბჭოს 1906 წ. ხარჯთ-აღრიცხვისა.

17) საბჭოს მოხელეთა არჩევანები.

18) გაფართოვება მთავრობის მიერ დანიშნულ შტეიგერების შტატისა, მათი ჯამაგირების გადიდება და თანხმად სამთო-მად. უფლ. 109 მუხლის შენიშვნისა, და მადნებში მომუშავე შტეიგერების ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ასი მან. მომატება.

ქვრივი მაგდან გრიგოლის ასული

ბაბაშვილისა

აცხადებს, რომ 1 საპოლიციო ნაწილის უბნის ზედამხედველი ნიკოლოოზ გაბრიელის ძე მახვილაძე აღარაა იმის მამულის მოურავად და რწმუნების წერილი, რომელიც მახვილაძეს ჰქონდა მიცემული, გაუქმებულია. (1—1)

ნაფიცი ვექილი

ლევ. ხიდფანის-ძე სტალინსკი

გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე, სახლი სულხანოვისა, № 17. (1—338—1)

ქუთაისში თ. გ. მაჭავარიანის კერძო

საქალებო პროგიმნაზიაში

მისაღები ეგზამენები დანიშნულია ენკენისთვის 5-ს სწავლა დაიწყება ენკენისთვის 9. მთხოვნელთ შეუძლიანთ მიმართონ სასწავლებლის გამგე მის ბინაზე. ლევაშოვის ქუჩაზე, საკუთარ სახლში. (5—5)

ექიმი

მ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიძისა № 16.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლაევსკისა (№ 82) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ვერის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეებით 10—1-მდის.

ექიმი

გ. ა. გედალინი

მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთ—5-დან—8 საათამდე. (30—6.—27)

ექიმი

დ. გედევანიშვილი.

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და იღებს ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე შინაგან და ნერვიან ავადმყოფებს და ექიმობს ელექტრონით.

ადრესი: კიროჩნი ქუჩა, საზაფხულო კრუჟოკის პირდაპირ, სახლი მარტინოვსკის. (თვ.—328—8).

კბილის ექიმი

ი. ზ. კანდელაკი.

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს და სვამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 80. (30—12)

ექიმი

პ. ა. არდაზიანი

იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილ. 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.

ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (30—8)

ისევ აგრარულ საკითხზე

ბ-ნი გომართელი განაგრძობს „ჩამონაჭრების“ პროგრამის დაცვას გაზეთ „ივერიაში“ და სცდილობს დაამტკიცოს, რომ სოციალდემოკრატიის თეორიული მოძღვრება არ ეწინააღმდეგება ისეთს მოქმედებას, რომელსაც აზრად გლეხების გაღონიერება აქვს მათის კერძო საკუთრების გადიდებით. ჩვენ ამ საგნის შესახებ, როგორც მკითხველს ეხსოვება, სულ სხვა ნაირად ვფიქრობთ და გვგონია, რომ მარქსისა და ენგელსის სწავლა პრინციპიალურად შეუთანხმებელია „ჩამონაჭრების“ პროგრამასთან.

ბ-ნი გომართელი გვეუბნება, სრულიად საჭირო არ არის მთელი ქვეყანა ერთის მხრივ რამდენისამე მდიდარის კაცისაგან შესდგებოდეს და მეორის მხრივ პროლეტარიატისაგან, რადგან უამისოდაც განხორციელდება სოციალიზმი, ოღონდ-კი პროლეტარიატს წვრილმა მესაკუთრეებმა მხარი დაუჭირონ და ამის დროშის ქვეშ დადგნენო. ვთქვათ, არსებითად ეს აზრი სრულს ჭეშმარიტებას წარმოადგენს, ვთქვათ, სოციალიზმის დასამყარებლად გლეხებმა პროლეტარიატის დროშას უნდა შეაფარონ თავი, თუმცა ჩვენ ცოტა სხვანაირად ვფიქრობთ; დავეთანხმოთ ამ მხრივ ბ-ნს გომართელს და ვიკითხოთ, როდის შეიძლება ვიქონიოთ იმედი, თანახმად სოციალდემოკრატიის ანუ მარქსის მოძღვრებისა, რომ გლეხები პროლეტარიატს ამოუდგებიან მხარში სოციალიზმის განსახორციელებლად?

„სოციალიზმის განსახორციელებლად“— ამ ორს სიტყვას ხაზს იმიტომ ვუსვამთ, რომ საიდუმლოება და საცილობელი საკითხის თავი სწორედ აქ არის დამარხული. პროლეტარიატის საზოგადოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, ცალიერის სახელწოდებით არ უნდა იზომებოდეს; საქმე ის-კი არ არის, რომ პარტიამ პროლეტარიატის ზეწარი წამოისხას, საქმე ის არის, პარტია იმ სოციალურ ურთიერთობის განხორციელების აზრს ემსახურებოდეს, რომლის მატარებელიც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში სოციალდემოკრატების აზრით პროლეტარიატია, ე. ი. ემსახურებოდეს სოციალიზმის დამყარებას ნაცვლად აწინდელის ეკონომიურ-საზოგადოებრივის ურთიერთობისა. გლეხობას, უეჭველია, ადვილად შეუძლიან მხარი დაუჭიროს ისეთს პარტიას, რომელიც იმის მიწის მფლობელობის გაფართოებას ითხოვს, მიუხედავად იმისა, რა სახელი ერქმევა პარტიას, სოციალდემოკრატია, პროგრესიული დემოკრატია, ლიბერალების პარტია თუ კონსერვატორებისა, მაგრამ საინტერესო ჩვენთვის ის არის, რომ ვიცოდეთ, დაუჭერს თუ არა მხარს გლეხობა პროლეტარიატს სოციალიზმის განხორციელებაში.

სოციალ-დემოკრატიის მამათ-მთავარი, კარლ მარქსი, ამბობს: ადამიანის საზოგადოებრივი მდგომარეობა კი არ წარმომდინარეობს ადამიანთა შეგნებისაგან, პირიქით თვით ეს შეგნება წარმომდინარეობს მდგომარეობისაგანო, და მარქსიზმის ერთ-ერთი უმთავრესი მუხლიც სწორედ ეს არის. თუ მართლა მდგომარეობა ჰქმნის შეგნებასა და არა შეგნება მდგომარეობას, ყოვლად შეუძლებელია გლეხი კერძო საკუთრების უარ-ყოფის გზას დაადგეს, ვიდრე ის თითონ იქმნება კერძო მოსაკუთრე. ვინც მარქსის თეორიას, ვინც მარქსის ეგრედ წოდებულს ფილოსოფიას სამართლად სთვლის, იმას არ შეუძლიან იმედი იქონიოს, რომ გლეხობა სოციალიზმის განხორციელებაში მხარს მისცემს პროლეტარიატს, ვიდრე თითონაც პროლეტარიატად არ იქცევა.

ბ-ნი გომართელი ამ კითხვაზე სულ სხვა პასუხს იძლევა: იმის აზრით, სრულიად გასაკვირველი არ არის, რომ სოციალ-დემოკრატია არ შეჰხარის და ხელს არ უწყობს ხალხის გაპროლეტარებას და სამაგიეროდ სცდილობს იმის გადაყვანას თავის რაზმის ბანაკში. „ეს პარტია თუ სცდილობს გლეხის წელში გამაგრებას, ამავე დროს ის სცდილობს გლეხის გონებრივად გაპროლეტარებას; ამით იგი გლეხს იხსნის ბევრგვარ გაჭირვებისაგან, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია, და ამავე დროს ამრავლებს სოციალიზმისათვის მებრძოლთა რიცხვს“. ამ სიტყვებს ან ის აზრი უნდა ჰქონდეს, რომ პროლეტარიატი და გლეხობა, როგორც წვრილი ბურჟუაზია, ისეთას კომპრომისით უნდა შეთანხმდნენ, რომლის ძალითაც ერთად იმოქმედებენ გლეხებისათვის კერძო საკუთრების პრინციპის განსამტკიცებლად და პროლეტარიატისათვის სოციალიზმის დასამყარებლად, ან კიდევ ის აზრი, რომ გლეხობა სოციალიზმის მომხრედ შეიქმნება და ორივე კლასსი ერთად დაამყარებს სოციალიზმს. პირველი აზრი იმდენად შეუწყნარებელია, რომ არა გვგონია ბ-ნ გომართელს იმისი თქმა სდომებოდეს, მით უმეტესს, რომ ის ყველგან მიმხრობაზე ლაპარაკობს და არა შეერთებაზე, მეორე აზრი კი ამტკიცებს, რომ ბ-ნის გომართელის აზრით შესაძლოა, გლეხი სოციალიზმის მომხრედ გახდეს, თუმცა ეკონომიური მდგომარეობა იმისი, როგორც კერძო მესაკუთრისა, არ მოითხოვს იმის გასოციალისტებას.

გაზეთი „მოგზაური“, ჩვენის ფიქრით, გაცილებით მეტს ლოღიკას იჩენს ამ საკითხში, ვიდრე ბ-ნი გომართელი; „მოგზაურიც“ მარქსის მოძღვრების მიმდევარია და იმავე დროს „ჩამონაჭრების“ პროგრამას იცავს, მაგრამ პირ და პირ ამბობს, პროლეტარიატსა და გლეხობას საერთო იდეალი არა აქვთ, გლეხს არ შეუძლიან სოციალიზმის მომხრე იყოსო. ბ-ნმა გომართელმა განიზრახა „ჩამონაჭრების“ პროგრამის ლოღიკურად შეკავშირება სოციალ-დემოკრატიის მოძღვრებასთან პროლეტარიზაციის შესახებ და იძულებული შეიქნა ყირამალა გადაეტრიალებინა თვით ეს მოძღვრება, შესაძლოდ სცნო, რომ გლეხმა მხარი მისცეს სოციალიზმის განხორციელებაში პროლეტარიატს და იმავე დროს კერძო საკუთრების პატრონი იყოს. ბ-ნი გომართელი ჰფიქრობს, რომ სოციალ-დემოკრატიას შეუძლიან გლეხი ქონებრივად გაალონიეროს, ესე იგი გაამაგროს როგორც კერძო მესაკუთრე, და იმავე დროს „გონებრივად გააპროლეტაროს“, ესე იგი სოციალიზმის მომხრედ აქციოს. ამაზე ცხადი, ამაზე მეტად მყვირალა წინააღმდეგობა მარქსიზმისა წარმოუდგენელია. მარქსის ყველა მოტივებს თავი იმით მოაქვს, რომ ის ეკონომიურ მატერიალისტს ეძახის თავის თავს, უარჰყოფს ზნეობრივ და გონებრივი მოტივების დამოუკიდებელს მნიშვნელობას და ბ-ნი გომართელი კი „ჩამონაჭრების“ პროგრამას სწორედ იმით ამართლებს, რომ შესაძლოდ სცნობს ამ მოტივებისაგან ეკონომიურ ფაქტორის დაძლევას. გამოდის რომ „ჩამონაჭრების“ პროგრამის გულისთვის ბ-ნი გომართელი მარქსიზმის დედაბოძს უარჰყოფს და ეკონომიურ მატერიალიზმის ისტორიულ შემეცნებას ყალბად სთვლის.

ჩვენ ვამბობდით, გაზეთი „მოგზაურიც“ და ბ-ნი გომართელიც ლოღიკურს ნახტომს აკეთებენ, როდესაც გლეხების კერძო საკუთრების გამაგრებას და გაფართოებას ითხოვენო, რადგან წვრილ მესაკუთრეთა გაპროლეტარება გვაახლოვებს, მათის მოძღვრებით, სოციალიზმთან და არა იმათი გაღონიერება. რა თქმა უნდა, ჩვენ ამასთანავე ვგულისხმობდით, რომ ბ-ნი გომართელი, როგორც მარქსისტი, საზოგადოებრივ შეგნების და იდეალების სარჩულად ეკონომიურ მდგომარეობას სთვლიდა. მართლაც, ეს რწმენა ბ-ნს გომართელს ერთხელ და ორჯელ არ გამოუთქვამს მწერლობაში, მაგრამ ეხლა ის სულ სხვას გვეუბნება, ეხლა ის სულ წინააღმდეგს ამტკიცებს: „გლეხ-კაცობას რომ სოციალიზმის შეგნება შეუძლიან, ამას ვინ უარყოფსო?“ როგორც მკითხველი ჰხედავს, ბ-ნი გომართელი ეხლა სამუდამოდ გამოემშვიდობა მარქსის მატერიალისტურ ფილოსოფიას, იმის თვალში ეკონომიურ ფაქტორის დაძლევა შეუძლიან გლეხის გონებას, და ამიტომ არ არის საჭირო გლეხის გაპროლეტარება სოციალიზმის განხორციელებლად.

აქამომდე ბ-ნი გომართელი „ჩამონაჭრების“ პროგრამას მარქსიზმის მოძღვრებაზე ამყარებდა, ეხლა ის ამ მოძღვრებას ზურგს უქცევს და ამგვარად თვით ეს პროგრამა ციდამ მოწყვეტილ მეტეორს ემსგავსება.

მოგეხსენებათ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, და ვერც ბ-ნი გომართელი განთავისუფლებულა ჯერ-ჯერობით თავის ძველ ჩვეულებათაგან, ის ისევ კულანდებურად აჭრელებს თავის წერილს მარქსიზმის ცნობილის დოგმებით. მაგრამ ამ გვარი აზრთა რყევა და უმტკიცობა, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობის მეტს სხვა ვერაფერს ნაყოფს ვერ გამოიღებს. ეს წინააღმდეგობა გომართელის უკანასკნელს წერილში საკმაოდ ცხადადა სჩანს: „მითქვამს და ვამბობ, ბრძანებს ბ-ნი გომართელი, რომ დღევანდელი გლეხობა არის წვრილი მესაკუთრე—წვრილი ბურჟუაზია და გაჟღენთილია ბურჟუაზიულ აზრებით: რაც შეიძლება მეტი საკუთარი მიწა — აი დღევანდელი გლეხობის კლასიური შეგნება“; წერილის დასასრული დაასკვნის: „დღევანდელი გლეხობა საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენს სოციალისტურ აზრების შეთვისებისათვისო“. შეუძლებელია ორგანვე მართალი იყოს ბ-ნი გომართელი: ან ბურჟუაზიულის აზროვნებისათვის უნდა იყოს ნაყოფიერი ნიადაგი დღევანდელი გლეხობა და ან სოციალისტურისათვის, ერთი და იმავე დროს კი ორთავე მიმართულებისა[illegible] რომ გლეხობა შესაფერს ნიადაგს წ[illegible] ეს ლოღიკის წინააღმდეგია. [illegible] თელს, უეჭველია კარგად ეს[illegible] ღრმა წინააღმდეგობაა და აი ამ წ[illegible]გობის დასაფარავად გვასწავლის: გლე[illegible] ეკონომიური მდგომარეობა რყევაშია, ცხოვრების მსვლელობაში ის თანდათან უახლოვდება პროლეტარიატს და, ადრე თუ გვიან, მის აზროვნებაშიაც მოხდება შესაფერი ცვლილებაო. როგორც მკითხველი ჰხედავს, წინააღმდეგობის დასაფარავად ისევ პროლეტარიზაციის თეორიაა წამოყენებული: როცა გლეხი გაპროლეტარდება, მაშინ გასოციალისტდებაო. მაგრამ ეს აზრი ჯერ ერთი, რომ თვით ბ-ნის გომართელის შეხედულებას არღვევს, სოციალიზმის განსახორციელებლად გლეხების პროლეტარიზაცია საჭირო არ არისო, და მეორე ის, რომ ისევ უკან გვაბრუნებს იმ საკითხისკენ, თუ რამდენად შესათანხმებელია „ჩამონაჭრების“ პროგრამა მარქსის მოძღვრებასთან.

ამ გვარად, როცა ბ-ნი გომართელი ერთგან სადმე ჰფარავს აზრთა წინააღმდეგობას, ის მეორე ადგილას იჩენს თავს და ბოლოს-ბოლოს გამოდის აზრთა წინააღმდეგობის მთელი წრე. ვინ იცის, იქნება დიალექტიურ მეთოდის მიმდევართა თვალში ესეც ჭეშმარიტების დამამტკიცებელი საბუთი იყოს!

გ. რ.

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

25 აგვისტო

პეტერბურგი. გაზეთების ცნობით, პოლონეთში სახელმწიფო სათათბიროს წარმომადგენლების არჩევა, თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის აზრისა, რომელიც წარდგენილია გრაფ სოლსკის კომისიაში, მოხდება იმავე წესით, როგორც შიდა გუბერნიებში, სახელდობრ თვითეულ გუბერნიიდან სათათბიროს წევრად თითო გლეხი იქნება არჩეული გლეხების არჩევნები სამკეცი იქნება: ერთი გმინის ყველა ის გლეხები, რომელთაც მიწები აქვთ მიზომილი 1864 წ. კანონით და რომელთაც ამასთან მიწა 30 მორგზე მეტი არ აქვთ, შეადგენენ საგმინო კრებას გლეხების ამომრჩევლებისას. ეს კრებები გაიმართება მომრიგებელ მსაჯულთა თავმჯდომარეობით. საგმინო კრებებზე არჩეული გლეხები შეიკრიბებიან მაზრებში საგუბერნიო ამომრჩევლების ამოსარჩევად, ეს უკანასკნელნი-კი ირჩევენ მთელის გუბერნიის წარმომადგენელს სათათბიროსათვის. მიწათ-მფლობელნი, რომელთაც 200 მორგზე ნაკლები მიწა არ აქვთ, შეადგენენ სამაზრო კრებას ამომრჩევლებისას. ამ კრებაზე, თავმჯდომარეებს მომრიგებელ მოსამართლეთა სიეზდის თავმჯდომარე. ბოლოს მაზრა-მაზრა არჩეული მიწის მფლობელობანი შეადგენენ ცალკე წარმომადგენლობის უფლების არა მქონე სამაზრო და საგუბერნიო ქალაქების მიერ არჩეულებთან ერთად საგუბერნიო კრებებს. ქალაქების ამომრჩეველთა კრებები სამაზრო და საგუბერნიო ქალაქებში მოხდება ბურგომისტრების თავმჯდომარეობით იმ ქალაქების ამომრჩეველთა კრებები, რომელთაც საკუთარი წარმომადგენლობა აქვთ, მაგალითად—ვარშავა, ლოძი, მოხდება ამ ქალაქების მაგისტრატების პრეზიდენტთა თავმჯდომარეობით. პოლონეთის ყველა გუბერნიების ამომრჩეველთათვის საარჩევნო ცენზი ერთგვარი იქნება—200 მორგი. თვითეულ 350 ათას მცხოვრებზე უნდა აირჩეს სახელმწიფო სათათბი[illegible] თვითეული წევრი.

პეტერბურგი. „ბირჟ. [illegible] იუწყებიან, რომ 27 აგვისტოს [illegible] ნობელის ფირმის გამგეობამ მიიღ[illegible] დეპეშა, რომელშიაც იუწყებოდნ[illegible] მაშინ, როცა ბაქოში თითქმის სულ [illegible] წყდა პირის-პირი სროლა, სამრეწველ[illegible]ებზე სროლა დაიწყო; 22 აგვის[illegible] მუშაობა შეჩერდა. რვა ადგილას ცეცხლი წაუკიდეს ნავთის კოშკებს. ხანდისხან სროლა ისმოდა. ბიბი-ეიბათისა და შავს ქალაქში სიმშვიდე იყო. იწოდა შიბაევისა, „როდუგა“-ს საზოგადოებისა, ტაგიევისა, თუმანოვისა, კრასილნიკოვისა, ფითოევისა, მანთაშევისა, კასპიისა და ტფილისის ამხა-

ნაგობათა და ნობელის სამრეწველოები. განადგურდა ზაგულიაევის წყლის მილი, რომელიც ყველა სამრეწველოებს აძლევდა სასმელ წყალს. ბაქოდან აცნობეს ნობელის გამგეობას, სამრეწველოებზე არაა საკმაო ჯარი და დირექტორმა გუბერნატორს მიმართა თხოვნით, მოეცით დამცველები ფირმის მოსამსახურეებისთვის, რომელთა შორის დაჭრილებიც იყვნენ. 23 აგვისტოს მთელს ღამეს ძლიერი სროლა არ შეწყვეტილა. ცეცხლს ისევ უკიდებენ. ბიბი-ეიბათზე ცეცხლს მისცეს მილოვისა, ზუბალოვისა, მანთაშევისა და როტშილდის სამრეწველოები. შავს ქალაქში სხვადასხვა რაიონში ცეცხლი წაუკიდეს ბეღლებსა და კასპიის ამხანაგობის აუზებს. ბაქოში დაიწვა შვიდის საწყობები. ცეცხლს, როგორც ბაქოდან იუწყებიან, იმიტომ უკიდებენ, რომ თათრები ჯავრს იყრიან სომხებზე ქალაქში ამას წინად დამარცხების გამო. იწვის ნავთის კოშკები. ბალახანაშია, ბიბი-ეიბათზე, საბუნჩაში და რომანში საერთოდ დაიწვა 500 კოშკამდე. მარტო ნობელს 40 კოშკი დაეწვა. რადგანაც საშინელი ცეცხლი უკიდია სამრეწველოებს, ამიტომ ჯარებმა უკან დაიხიეს.

ადესა. 24 აგვისტო. ხვალ აქ მოვა შავის ზღვის ესკადრა, რომელზედაც ზის 2 ათასამდე მატროსი აჯანყებულ გემიდან. ეს მატროსები იგზავნება ქვეითებისა და მსროლელ ჯარების შესავსებლად, რომელნიც შორეულ აღმოსავლეთში იმყოფებიან. მატროსებს მოჰყვებიან ოდესის ოლქის ოფიცრები და ორასი სალდათი-პეტერბურგიდან.

ლონდონი. იუწყებიან, რომ ერთი ბანკი უკვე შეუდგა მოლაპარაკებას რუსის ახალ სესხის გამოსაშვებად. დაწვრილებითი ცნობები არაა.

პორტ-საიდი, 24 აგვისტო. გუშინ საღამოს ინგლისის გემ „ჩიტამ“-ზე, რომელიც 70 ტონა დინამიტი მიჰქონდა იაპონიაში, ცეცხლი გაჩნდა. მეტი რა გზა იყო, ჩასძირეს გემი სუეცის არხში.

პეტერბურგი. ხმებია, რომ სამინისტროს იაპონიასთან ხელშეკრულების სრული ტექსტი 24 აგვისტოს მოუვიდა და სამინისტრომ დაუყოვნებლივ აცნობა ეს სამხედრო მინისტრს შემდეგის განკარგულების მოსახდენად.

ლონდონი. „ნიუ-იორკ-ტაიმს“-ი იუწყება ამერიკის კონგრესის წევრების ნალაპარაკევს ვილჰელმთან 22 აგვისტოს ბერლინში. იმპერატორი აშკარათ ამბობდა ყვითელ საფრთხეზე და იმაზე, რომ იაპონელები ჩქარა ხელში ჩაიგდებენ მთელის აღმოსავლეთის ბაზარს და გამეფდებიან ჩინეთშიაცო, საჭიროა შეერთდნენ თეთრი ერებიო—დასძინა იმპერატორმა—და შეაკავონ ყვითელი საფრთხეო.

გუნჯულინი. ჩვენი წინა რაზმები წინ წავიდნენ სანაპიროს გზიდან იაისიტამდე.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

26 აგვისტო.

ათინა, 24 აგვისტო. გამოძიებამ აღმოაჩინა სომხების ეკლესიის სარდაფში დამალული იარაღი, თოფი და საჭირო დოკუმენტები. საქმე ეხება სომხების მთელის სარევოლიუციო საზოგადოების დიდს შეთქმულებას, რომელმაც მიზნად გაიხადა როგორმე სახელმწიფოები ჩაერიოს საქმეში სომხების სასარგებლოდ. დაიჭირეს ბევრი. ჰფიქრობენ, ალბათ, კიდევ არის ასეთი საწყობები სადმე.

ტოკიო. ჯარების გადმოყვანას 9-10 თვეში გაათავებენ. გადმოსაყვანია ერთ მილიონამდე ხალხი, ყველა ჯურის იარაღის მექონე, რაც ბევრი მილიონი იენი დაჯდება.

ტოკიო, 24 აგვისტო. დღეს ქუჩაში ბრბომ ქვები ესროლა მარკიზ იტოს და ემუქრებოდა ამერიკის რკინის გზის მოსამსახურეს.

ვენა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიმართა იმ ადგილების მთავრობებს, საცა ხოლერა იმუქრება და წინ დაუდო, ზომები მიიღონ ხოლერის წინააღმდეგ, ვისლის გასწვრივ, იმპერიის საზღვარზე, გამართეს თვალ-ყურის დასაჭერი პუნქტები გალიციიდან მომავალ მგზავრებსა და საქონელზე. შემოიღეს სანიტარული გასინჯვა.

ხარკოვი, 25 აგვისტო. ღამით გარდაიცვალა ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის დირექტორი პონომარევი.

პეტერბურგი. საუწყებათა შორისო რჩევას 25 აგვისტოს ჰქონდა პირველი სხდომა. როგორც სურსათის განყოფილების მმართველის მურკოს ცნობიდან სჩანს, ნამეტნავად დაზიანებულა მოუსავლობისაგან შემდეგი გუბერნიები: სარატოვისა, რიაზანისა, სამარისა, პენზისა, ტამბოვისა, ორიოლისა, ვორონეჟისა, ტულისა და ვიატკისა. უფრო ნაკლებად დაზიანებულა ვიტებსკისა, ყაზანისა და პსკოვისა, საცა, ალბად, საკუთარი საშვალებაც ეყოფათ. სიმბირსკის გუბერნიიდან ჯერ არაა ცნობები. დაახლოვებითის ანგარიშით საჭიროა $12^1/_2$ მილ. ფუთი პური. სახელმწიფო ხაზინამ უნდა გადასდოს პურის საყიდლად 36 მილიონ მანეთზე მეტი. შემდეგი კრება იქნება 26 აგვისტოს.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ბირჟის კომიტეტმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა კავკასიის ნამესტნიკს: „ნიჟნი-გოროდის ბირჟა ძლიერ შეშფოთებულია ბაქოს ცნობებით. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი ბრწყინვალება ხედავს, თუ რა სერიოზულია მდგომარეობა და მიიღებთ ენერგიულ ზომებს წესიერების აღსადგენად“.

პეტერბურგი, 25 აგვისტო. დღეს პეტერგოფის დიდის სასახლის სობოროში, ხელმწიფე იმპერატორისა, ხელმწიფა იმპერატრიცებისა, ელლინთა დედოფლისა და დიდის მთავრების თანადასწრებით გადაიხადეს პარაკლისი ზავის ჩამოგდების გამო.

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ჯარისა და მუშების შეტაკება იტალიაში. ამას წინად გრამიკელეში, სიცილიაში, ხალხსა და ჯარს შუა შეტაკება მოხდა. ამ შეტაკებამ მთელი იტალია აალელვა და კინაღამ საყოველთაო გაფიცვა არ გამოიწვია. გრამიკელე პატარა სოფელია კატანიაში. იმის მცხოვრებლები ორ წრედ გაიყოფიან: მდიდარი მიწის მფლობელნი და დანარჩენი—უმრავლესობა მომეტებულ ნაწილად სოფლის უმამულო მუშები და მოჯამაგირეები, რომელთაც მეტად მცირე სამუშაო ქირა ეძლევათ. ეს მუშა ხალხი სრულიად უვიცია, რადგან 200—300 მდიდარ კაცს საჭიროდ არ მიაჩნია სკოლებზე ფულის ხარჯვა, ღატაკ ხალხს-კი სასწავლებლის შენახვა არ შეუძლიან. მდიდრებსა და მუშებს შუა დიდი ხანია მტრობაა ჩამოვარდნილი ეკონომიურ ნიადაგზე და ამ მტრობამ არა ერთხელ იჩინა თავი: მუშებსა და მდიდრებს შეტაკება მოსვლიათ და მდიდრების დასაცველად ჯარს მოიწვევდნენ ხოლმე. ამნაირი შეტაკება მოხდა ამას წინადაც. გლეხ-კაცებმა მდიდრების კლუბს წრე შემოავლეს და დანგრევას უპირებდნენ. მოწვეულმა სალდათებმა თოფები დაახალეს გლეხებს, რამდენიმე კაცი მოჰკლეს და დასჭრეს და მდიდრები გაანთავისუფლეს.

ამ შეტაკების გამო იტალიურმა და ევროპიულმა პრესამ დიდი ამბავი ასტეხა: სალდათების მიერ ხალხის თოფით დახვრეტა შეუძლებელი საქმეა მე-XX საუკუნის დასაწყისს და იტალიის მთავრობამ უნდა აგოს პასუხი, რომ სალდათის თოფი გამცარცველთა დასაცველად მოიხმარა გაცარცულთა წინააღმდეგაო,—გულის წყრომით ამბობენ გაზეთები. ამ შეტაკების შემდეგ იტალიელი სოციალისტები უფრო ბეჯითად მოითხოვენ, რომ კანონით აიკრძალოს ჯარის მოხმარება ეკონომიურ ნიადაგზე მომხდარ უწესოების მისასპობად. („ს. ო.“).

ახალი პარტია გერმანიაში. ამას წინად ბერლინში 3 ათასმა მუშამ კრება მოახდინა და დაადგინა, დოგმატიურ მარქსიზმსა და საზოგადოდ სოციალ-დემოკრატიზმზე ხელი აეღოთ და ახალი პარტია შეედგინოთ ანარხო-სოციალისტების სახელითაო. მუშათა კლასის განთავისუფლების უმთავრეს საშუალებად ახალ პარტიას საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა მიაჩნია. ეს პარტია იმითაც განსხვავდება სოციალ-დემოკრატებისაგან, რომ ანარხო-სოციალისტები უარჰყოფენ საპარლამენტო ბრძოლას, რადგან ეს ბრძოლა ერთის მხრივ სოციალისტების მიერ ეხლანდელ ბურჟუაზიულ წესწყობილების აღიარებას მოასწავებს, მეორეს მხრივ, პარტიას კომპრომისების გზაზე აყენებსო. („ს. ო.“).

„რუსკია ვედომოსტი“-ს ბერლინელი კორესპონდენტი შემდეგს იუწყება ამავე პარტიაზე: ბერლინის ერთს უდიდეს ზალაში 3 ათასამდე მუშა და ნოქარი შეიკრიბა. კრების ორატორმა, საქალაქო საბჭოს ხმოსანმა ნამყოფმა ფრიდებერგმა უსაყვედურა ბებელს, სულ პოლემიკას უნდება და გაბედულად ვერა მოქმედობსო. სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკურმა მოქმედებამ, ორატორის აზრით, მთლად გვერდი აუქცია პარტიის სოციალურ იდეალებს; მუშათა მოწყობილი კავშირები ხომ უფრო მეტად გაკიცხა ორატორმა: ამ კავშირებს შიშით ხმა-მაღლა ვერც-კი ულაპარაკიათ თავიანთი რწმენაო. წვრილ გამარჯვებისა და პროლეტარიატის ცხოვრების მცირე გაუმჯობესობისათვის, პარტიამ, ლამის, დაკარგოს მნიშვნელობა პროლეტარიატის მებრძოლ ორგანიზაციისაო. ამიტომ ფრიდებერგსა და იმის მომხრეებს საჭიროდ მიაჩნიათ ახალი, „ანარხო სოციალისტების“ პარტია შეადგინონ. ანარხო-სოციალისტების მიზანი იქნება—ხალხის გარევოლიუციონერება და საყოველთაო გაფიცვის მოხდენა; საყოველთაო გაფიცვა უკეთესი საშუალებაა, ვიდრე კამათი პარლამენტში და ყოველდღიური მოქმედება პროფესიონალურ კავშირებში.

როგორც ვხედავთ, ეს ეგრედ წოდებული „ახალგაზრდანი“, ვერნერისა და ამხანაგების ოპოზიციის ახალი გამოცემაა. ეს „ახალგაზრდები“ მაშინ გამოვიდნენ სცენაზე, როცა გერმანიაში გააუქმეს კანონი სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ. გალეს კრებაზე ბებელმა და განსვენებულმა ლიბკნეხტმა ადვილად დაარღვიეს თავიანთი მოწინააღმდეგეთა საბუთები. „ის პარტია, რომელსაც თავის მხარეს მილიონობით ჰყავს ამომრჩევლები, ვერ იმოქმედებს, როგორც შეთქმულთა, ანუ თავისუფალ მსროლელთა რაზმიო,—ამბობდა მაშინ ბებელი: თქვენ უფლება გაქვთ ცარიელის ხელით, უიარაღოდ მიიტანოთ შტურმი ქვის კედელზე და თავი გაიტეხოთ, მაგრამ ამ შტურმზე სხვა ხალხის მოწოდების უფლება-კი არა გაქვს. ვერც ჩვენ დაგვიყოლიებთ მაგ საქმეზე, რადგან ჩვენ კარგად ვიცით, რომ როგორც თანამედროვე ომში, ისე თანამედროვე პოლიტიკაში, უფრო რთული ტეხნიკაა საჭიროო. „ახალგაზრდათა“ ოპოზიცია ადვილად უარ-ჰყო პარტიის დიდმა უმრავლესობამ. არც ეხლანდელი ოპოზიცია იქნებოდა მეტის ყურადღების ღირსი, ახალ ვერნერებსა და ფრიდებერგებს რომ ბერლინელ მუშების ცნობილი ჯგუფი არ ეხმარებოდეს—ეგრედ წოდებული ადგილობრივი ორგანიზაციები, რომლებიც პროფესიონალურ მუშებს საერთო კავშირს არ ეკუთვნიან და 16-დან 20-მდე ათასი მუშა ჰყავთ წევრად. მუშების გარდა, კრების ზალაში ზოგიერთი ინტელიგენტიც იყო. ესენი ერთსა და იმავე დროს დეკადენსისა და ანარხიზმის მიმდევრები არიან და სოციალურ მოძრაობასა, თუ პოლიტიკურ პარტიაში ყველაზე უწინარეს ემოციას ეძებენ, უნდათ, რომ შფოთიან ტემპერამენტს თავის გამოჩენა შეეძლოს. ამ ინტელიგენტებს მეტად მოსაბეზრებლად მიაჩნიათ პარლამენტის საშუალებით მოქმედება. რა რევოლიუციონერები არიან,—ამბობენ ესენი, ბებელისა, ფოლმარისა, ან აუერის მაგვარ სოციალ-დემოკრატებზე: რევოლიუციონერები-კი არა, ფილისტერები არიან ხალათითა და ტუფლებითა და ბურჟუასავით ისეთ სახლებში სცხოვრებენ, რომლების საპარადო კიბეებზე აწერია: აქ მხოლოდ ბატონებს შეუძლიანთ შემოსვლაო!

ორის მეტად საქმიან და გულმხურვალედ დაწერილ სტატიაში „ფორვერტს“-მა (სოციალ-დემოკრატიის უმთავრესმა გაზეთმა) მკაცრად გაჰკიცხა ბავშვი—პოლიტიკოსები, რომლებსაც თავბრუ ესხმით ფრაზისაგან და არ ესმით, როგორ გაუხარდებოდათ რეაქციონერებს, მუშების მოძრაობამ რომ ანარხო-სოციალური ხასიათი მიიღოს. პირველივე ისეთი საყოველთაო გაფიცვა, როგორიც ანარხო-სოციალისტების ორატორებმა ურჩიეს ხალხს, სასურველ საბუთს მისცემდა პოლიციის ძალმომრეობის მომხრეთ ხალხის წინააღმდეგ სამოქმედოდ. საყოველთაო გაფიცვა ისეთი საშუალება არაა, რომ იმასთან თამაშობა შეიძლებოდეს, ისე როგორც ბავშვი ეთამაშება ხოლმე თოფსა. ასეთი საშუ-

---

ფელეტონი

მარქსიზმის საფუძველთა კრიტიკა.

I. დიალექტიკურ მეთოდის კრიტიკა: 1. დიალექტიკა; 2. მარქსის მატერიალისტური დიალექტიკა და ისტორიზმი.
II. ეკონომიურ მონიზმის კრიტიკა.
III. კლასთა ბრძოლის კრიტიკა: 1. ღირებულობის თეორია; 2. მეტფასი; 3. კლასსების წარმოშობა და მათი ბრძოლა.
IV. კონცენტრაცია და პროლეტარიზაცია.
V. ცენტრალიზმი და ინდივიდუალიზმი, საზოგადოება და პიროვნება (რიცხვი და თვისება).
VI. ცენტრალიზმი როგორც შედეგი სოციომორფიზმისა (Question des Universaux).
VII. დასკვნა და ზოგადი მიმოხილვა.

> Ceterum censeo Auctoritatem esse delendam.
> ამას გარედ ვფიქრობ, რომ ავტორიტეტი უნდა დაინგრეს.

1. დიალექტიკა.

§ 1. მარქსი და ენგელსი ძლიერ აფასებენ ჰეგელის დიალექტიკას, ისე ძლიერ, რომ მათთვის დიალექტიკურ მეთოდს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ინდუქტიურ და დედუქტიურს, ე. ი. მეცნიერულს. მათის აზრით მეცნიერთა დიალექტიკა არის შეგნებული გამოსახულება (отраженіе) ნამდვილ მსოფლიო დიალექტიკურ მოძრაობისა, ობიექტიურ პროცესის წესის, ე. ი. ობიექტიური პროცესი, მსოფლიო მოძრაობა სწარმოებს დიალექტიკურად, უკუღმართულად. რადგან დიალექტიკა, როგორც შეგნების თეორია (теорія познанія), არის ძირითადი საფუძველი მთელ მარქსიზმისა, ამიტომ ჯერ ვნახოთ, რა იყო და რა არის დიალექტიკა ფილოსოფიის ისტორიაში და შემდეგ საშუალება მოგვეცემა შევადაროთ და დავინახოთ ის, თუ რა ადგილი უჭირავს მას, როგორც მეთოდოლოგიას მეცნიერულ და ფილოსოფიურ მეთოდოლოგიასთან შედარებით.

§ 2. ძველის საბერძნეთის ფილოსოფიური მიმართულებანი იყოფება ორ უმთავრეს პოლიარულ ფილოსოფიურ სკოლად. მრავალი სხვა ფილოსოფიური სკოლა წარმოადგენდა გარდამავალ ხარისხს და საფეხურს, რომელნიც, მით უფრო მეტად უახლოვდებოდნენ ერთ უმთავრეს ფილოსოფიურ სკოლას, რაც უფრო შორდებოდნენ მეორეს. უმთავრესი წარმომადგენლები ამ ორ უმთავრეს ფილოსოფიურ სკოლებისა იყვნენ, ერთის მხრით—პარმენიდი და მეორეს მხრით—დემოკრიტე. პირველი იყო აბსოლიუტური იდეალისტი, მეორე—დიდი მატერიალისტი და ატომიზმის მამათ-მთავარი.

§ 3. ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილი სოფისტები, ე. ი. დიალექტიკის გმირები, პირდაპირი ჩამომავლნი არიან ამ ორ ერთი მეორის საწინააღმდეგო ფილოსოფიის წარმომადგენლებისა: პარმენიდისა (იდეალისტი) და დემოკრიტის (მატერიალისტი). პირველის შეგირდები იყვნენ ელეელი ზენონი, ქალკედონელი თრაზიმახი, ლეონტინელი გორგია (სიცილიიდან). გორგიას შეგირდები იყვნენ: პოლოსი აგრიგენტელი, კალიკლე და ათინელი კრიტიასი (ეს უკანასკნელი იყო ერთი ოცდაათ მტარვალთაგანი და ამასთანავე ყველაზე უდიერი). მეორის შეგირდები იყვნენ: დიდი პროტაგორა (მეცნიერულ რელატივიზმს უახლოვდება), რომელიც რამდენადაც დაახლოვებულია მატერიალიზმთან (თავის ინდივიდუალიზმით), იმდენად დაშორებულია დიალექტიკოსაგან, პროდიკოსი, დიაგორა, ნესსოსი და ანაქსარქე (ალექსანდრე დიდის მეგობარი და სკეპტიკ მატერიალისტ პირრონის მასწავლებელი).

§ 4. გორგიას თხზულებამ არა-არსზე ანუ ბუნებაზე ჩვენამდის სავსებით ვერ მოაღწია. უმთავრესი არგუმენტები, რომლებმაც ჩვენამდის მოაღწიეს, შემდეგია: „არაფერი არ არსებობს; თუ რამე არსებობს, არ შეგვიძლიან ვიცოდეთ; თუ რამე არსებობს და შესაძლებელია ვიცოდეთ, არ შეგვიძლიან სხვას ვაცოდინოთ იგი“. რადგან, როგორც ამბობენ, კიტრი ფცქვნად არა ღირსო, ჩვენ არ შევუდგებით ამ არგუმენტების კრიტიკას. გორგიას არგუმენტებს ისევ ელეელ ზენონის არგუმენტები თუ გაუწევენ მეტოქეობას, თორემ სხვა ვერ შეედრება. ყველამ, ვისაც კი ფილოსოფიის ისტორია წაუკითხავს, კარგად იცის ზენონის არგუმენტები ახილევსის და კუს შესახებ (რომ ფეხ-მარდი ახილევსი კუს ვერ დაეწევა). ეს ის ზენონია, რომელიც მოძრაობის არსებობას უარჰყოფდა და რომელსაც დიოგენმა (ცინიკმა) პასუხი სიარულით გასცა. მიუხედავად ამისა ზენონი პატიოსანი კაცი იყო, გორგია კი დიალექტიკამ იქამდის მიიყვანა, რომ აღიარა ერთობა (идентичность) ნაკლულევანებისა და ღირსებისა, ბედნიერების და უბედურებისა, სამართლის და უსამართლობისა. აღიარა აგრეთვე კულტი ძალმომრეობის და სიმდიდრის, ყოველ საშუალებით მოპოვებულისა. ძალა ასაბუთებს და ამართლებს უფლებასაო,—ეს იყო მისი უმთავრესი და პრაქტიკული დევიზი. მისი შეგირდები ამბობდნენ, კანონი სუსტების გამოგონილია ძლიერების შესაშინებლად (თუმცა, ჩვენის აზრით, წინააღმდეგი უფრო მართალია); სამართლიანობის იდეა და ინტერესი აბსტრაქტურია და ამიტომ, ამბობდნენ ისინი, ვინ გაჰბედავს გაკიცხოს მძლავრი იმიტომ, რომ იგი დაარღვევს კანონს თავის ინტერესების დასაკმაყოფილებლადო.

§ 5. რადგან მეძველე, რომლის ხელობაც ის არის, რომ ძველი იყიდოს, ცოტა გასწმინდოს-გამოასწმინდოს და ახალს დაამსგავსოს, რათა ბაზარზე უფრო ადვილად გაასაღოს, რადგან, ვამბობ მე, ასეთი მეძველე ცხოვრების ქვედა სფერაში მოიშთვება, ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ჯერ ფიხტემ, შემდეგ შელლინგმა და ბოლოს ჰეგელმა გამოქექეს მეტაფიზიკურ ნაგავში ანტიკური დიალექტიკა, ფილოსოფიის ეს ძველი ტანისამოსი. თანამედროვე ფილოსოფიის ისტორიის პირველ ნახევრის დასასრულს და მეორე ნახევრის დასაწყისს ჰეგელის მეოხებით და „პროტექციით“ დამყარდა უკუღმართობის ფილოსოფია, რომელმაც ჯერ იხარა ფილოსოფიის დასაწყისს. ჰეგელი უპირველესად შეეცადა სოფისტების რეაბილიტაციას, მაგრამ ამის მაგივრად მიაღწია იმათ დეზაბილიტაციას იმით, რომ უკიდურესობამდე მიიყვანა მათი დიალექტიკა; თვით ჰეგელი კი ამ დიალექტიკამ მიიყვანა უდიდეს აბსურდამდე.

§ 6. სოფისტების მიერ არსების (L'étre (ensii) უარისყოფაში (§ 4) ჰეგელმა დაინახა თავის უკუღმართობათა ერთობა (тождество противорѣчивыхъ) და მუდმივი მომავალი (L'eternel devenir), ე. ი. თავისის პროგრესის თეორია. ადამიანის გონების თვითმპყრობელობაში დაინახა აბსოლიუტურ სუბიექტივიზმის პრინციპი. ჰეგელის სიტყვით და ჩვენის აზრითაც, სოფისტები სოკრატის წინამორბედნი იყვნენ, იმ სოკრატისა, რომელმაც მთელი მოაზროვნე კაცობრიობა თითქმის 2000 წლის განმავლობაში მეტაფიზიკურ ბურუსში გააბა თავის აბსოლიუტურ იდეალიზმით და სუბიექტივიზმით. კაცობრიობის ამნაირსავე ბურუსში გახვევა მოინდომა ჰეგელმაც, მაგრამ ბედმა [illegible]: იმისმა სკოლამ იმდენ ხანს იცოცხლა, რამდენ ხანსაც მასწავლებელმა. მართლაც მარქსს და ენგელსს გული არ გაუტყდათ, და საქმის გამოკეთებას იმით შეუდგნენ, რომ მოინდომეს ფეხზე დაეყენებინათ იმისა, რაც ჰეგელს ფეხზე ედგა, მაგრამ მათ კი თავდაყირა [illegible]. ერთის სიტყვით, მოინდომეს თავის შეურთებელის და შეუწყნარებელის შეერთება და შეწყნარება: ჰეგელის დიალექტიკური თავი მოაბეს თავიანთ მატერიალისტურ ტანს და ამნაირად დიალექტიკური იდეალიზმი გადაქციეს დიალექტიკურ მატერიალიზმად. მარქსმა და ენგელსმა გახუნებული და დანაფლეთებული მეტაფიზიკური ტანისამოსი ჩააცვეს იმ მუდამ ნორჩ, მძლავრ ჭაბუკს, რომელსაც მატერიალიზმი ჰქვია და, რაც საკვირველია, თუ პირველ განძრევისთანავე ეს მეტაფიზიკურ ძაფებით დაკონკილი ტანისამოსი ნაფლეთებად იქცა. ჰეგელი როგორც მეტაფიზიკოსი ულოღიკოდ არ მოქმედებდა და ბოლომდის მეტაფიზიკოსად დარჩა; მან მეტაფიზიკა ფეხზე დააყენა იმით, რომ დიალექტიკის საშუალებით შექმნა იდეალისტური მონიზმი, ე. ი. აბსურდი, მაგრამ ეს აბსურდი ლოღიკური მაინც იყო.

§ 7. ჰეგელის ფილოსოფია მოთავსებაა კანტის მერმინდელ ფილოსოფიისა. მოწინავეებმა გზა გაუკაფეს ჰეგელს თავის მეტაფიზიკის დიალექტიკურ კატასტროფისაკენ, ე. ი. უკეთ რომ ვსთქვათ, ფილოსოფიაში დიალექტიკურ კატასტროფიზმისაკენ à la Cuvier ჰეგელის ფილოსოფია წარმოშობილია კანტ-ფიხტე-შელლინგის ფილოსოფიიდან. ფიხტეს აზრით (საიდან იმათ აზრი, რადგან არ სჭირს გარეშე ბუნების, ობიექტის ზედგავლენა), ობიექტი, გარეშე ქვეყანა არ მოქმედებს სუბიექტზე (საიდან შეიტყო) და ამ გარემოებამ ძლიერ დააფიქრა (§ 4). რადგან ობიექტი ძლიერ საჭირო იყო, მაგრამ ისე კი, რომ ობიექტს არ დასესხებოდა, ამიტომ დააყენა კითხვა: რანაირად ვიშოვო ობიექტი მოუპარავად? საჭირო შეიქნა სასწაულთმოქმედი ქმნილება, თავის აწრდილისა და თავის თავის გასწრება. ობიექტი უნდა დაებადა სუბიექტს, მოხდა თვით-განვითარება და დაიბადა დიალექტიკა. დიალექტიკა სამ-პირთვანია: თეზისი, ანტითეზისი და სინთეზისი, ე. ი. დადება, უარ-ყოფა და უარ-ყოფის უარყოფა ანუ კიდევ უარ-ყოფა, უარ-ყოფის უარყოფა და შერიგება. აი ამ შედეგით, მისნურის სიტყვებით და ჯამბაზურ „სამებით“ ფიხტეს მე აპოსტულებს (постулируетъ) არა-მეს და მიიჩნევს, რომ იგი იდენტიურია არა-მესი; მე თავის თავს იდებს, არა-მე წინ აღუდგება და დაადგენს, რომ მე და არა-მე ერთი და იგივეა. ადამიანურად რომ ვილაპარაკოთ, გამოვა, რომ მხოლოდ სუბიექტი არსებობს; რადგან იგი დიდი, აბსოლიუტური მე არის, ამიტომ შექმნის არა-მეს, მსოფლიოს, ობიექტს. მე არის ღმერთი იმიტომ, რომ იგი არის თავის თავისა და ყველაფრის თავისით შემქმნელი.

§ 8. ფიხტეს იდეალიზმი შელლინგის ხელში გადაიქცა აბსოლიუტურ ერთიანობად (identité absolue): „ყველაფერი მე არის“. აბსოლიუტი, რომელიც რამეების საყოველთაობაა (L' universalité des choses), ერთობა იგივეობა ბუნების და გონებისა, რეალურის და იდეალურის, ობიექტის და სუბიექტისა. ამ ნაირად ამოვყავით თავი პირველ-ყოფილ ხაოსში, ერთიანობაში და ობიექტის და სუბიექტის ინდიფერენტიზმში, ე. ი. იქ, სადაც არავითარი აზროვნება და ესთეტიური მოვლენა არ არსებობს, იქ, სადაც გამეფებულია პრიმიტივიზმი და სიმპლიციზმი (შეადარე მარქსის პრიმიტივიზმს, ეკონომიურ მონიზმს). ჩვენის მხრით შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ესთეტიურ ყველაფრის თავმჯდომარე ძალა თუ [illegible] იდენტიურია იმ ძალის, რომელიც განვითარებს ბუნებას, მაგრამ ერთიდაიგივეობა არ არის მიზეზი ყველაფრისა, რაც კი არსებობს, იგი არის მხოლოდ მთლიანობა (totalité). აგრეთვე ნუ დავივიწყებთ იმას, რომ შეიძლება საგნები განსხვავებული იყვნენ და წინააღმდეგი-კი არა. დიალექტიკურმა [illegible] იარა, იარა, გაიარა ფიხტე, შელლინგი, მიადგა და შეიქმნა ჰეგელის ფილოსოფიაში აბსოლიუტურ იდეის აბსურდად. ჰეგელმა ყველა თავის მოწინავეს ზურგი შეაქცია, მოინდომა მათი გადაჭარბება შესაძლებელ და შეუძლებელ საშუალებით; ამიტომ თავის მეტაფიზიკურ სისტემაზე გამოიყვანა ყველა [illegible] და შეცდარი იდეა; მოინდომა ყველაფრის ცოდნა და რაც-კი მოხვდა ხელში, სულ ერთ ხურჯინში მოაქცია, რათა ამნაირად უკუღმართ (противорѣчивый) აზრების გროვით, ერთის მხრივ, ყველაფერი [illegible] და მეორეს—[illegible] ლოღიკურად და არ ეღალატნა თავის დიალექტიკურ მეთოდისთვის, რომელიც მოითხოვდა უკუღმართთა ერთობას და ლოღიკურად წინააღმდეგ აზრის ერთობას უმაღლეს დიალექტიკურ აზროვნებაში. ჰეგელმა მოიხმარა [illegible] თავგასული გაბედულობა, სიდინჯე და ყველა აქ მოხსენებულ და მოუხსენებელ საშუალებით მართლა მიაღწია საზღაპრო [illegible]. მაგრამ აზრების უკუღმართობა, აქსიომების [illegible], ცდის მეთოდის, როგორც მეტის ბარგის, გადაგდება, გამოუსადეგრობა მისის მეთოდურ აზრისა იყო მიზეზი, რომელმაც გამოიწვია იმის სისტემის დაცემა. ეს დაცემა იმდენად მწრაფელი და მძლავრი იყო, რამდენადაც აშენება ეფექტური და გადამეტებული. იმისი სკოლა გაიბნა, მიმდევრები დაიფანტნენ და მთელი სისტემა გაიხრწნა, მაგრამ ამ გახრწნისაგან გამოვიდა არა-ჰეგელიანური [illegible], რომლებმაც წარმოშვეს და დაიხსნეს რამდენისამე შთამომავლობის გონება. ჰეგელმა მოინდომა (როგორც მარქსმა და ენგელსმა) მეცნიერების გვერდზე აეშენებინა თავისი საკუთარი მეცნიერება, ფილოსოფიის გვერდზე თავისი საკუთარი ფილოსოფია, და აკი ააშენა ამ ნაირი [illegible] უფრო ხარახურა, ვიდრე სახლი, რომელიც [illegible] bombynans in vacuo. [illegible] თვით ამ ფილოსოფიურ [illegible].

§ 9. ჰეგელის აზრით, წმინდა სამება (რომელიც მარქსის და ენგელსის სამებაც არის) თავმჯდომარეობს მსოფლიოს წეს-რიგს. ბრაჰმა, პარმენიდის ერთი, ანაქსაგორის nus, არისტოტელის logos, იდეა წმინდა, განუსაზღვრელი, კონკრეტული არსი იდენტიურია თავის თავში არა-არსის და განვითარდება სამ ხანაში იმმანენტიურ დიალექტიკის საშუალებით. პირველი ხანა, თეზა: იდეია თავის-თავად ინვოლიუციონურ მდგომარეობაში უწინარესია არსისა და არა-არსის და შედგენს ლოღიკის საგანს. ეს ლოღიკა შედგება: 1. არსის თეორიისაგან, რომელიც არსის და არა-

ლება უნდა კარგად აწონ-დაწონოს იმ ხალხმა, რომელმაც იცის, რომ თავისუფლებისა და სოციალურ წყობილების საქმე პირველად პარლამენტარიზმის ნიადაგზე უნდა მომზადდეს“. („რ. ვ.“).

ახალი ამბავი

◆ ამ ერთი თვის წინად ნამესტნიკის კანცელარიის შუამდგომლობა აღუძრავს მიწათ-მოქმედების მთავარ სამმართველოს წინაშე, რომ ამიერ-კავკასიის ყველა **საგლეხო საზოგადოებაზე** გავრცელებულ იქმნას ცხრა ნოემბრის 1884 წლის კანონი და დამატება ამ კანონისა, 16 ივნისს 1895 წელს გამოცემული, რომელთა ძალითაც გლეხთა საზოგადოებებს და ცალკე ამხანაგობებს ეძლევათ სახელმწიფო ადგილები იჯარით, უვაჭროდ. ჩვენს ქვეყანაში აღნიშნული სახელმწიფო მიწები, მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა ადგილობრივ გამგეების განკარგულებით, ეძლევათ საჯარო ვაჭრობით კერძო პირებსაც, რომელნიც თავიანთ მხრივ იჯარითვე აძლევენ გლეხებს და ამით უზომო საიჯარო ფასს აძლევინებენ. ამ საკითხის შესახებ ტფილისის გუბერნატორსაც აღუძრავს შუამდგომლობა ნამესტნიკის წინაშე, ოღონდ მას უთხოვნია 1900 წლის კანონის გავრცელება ტფილისის გუბერნიაზე, რომელიც ცოტათი განსხვავდება ზემო მოყვანილ კანონებისაგან.

◆ ამ ორი დღის წინად დავბეჭდეთ სია **მანჯურიაში მოკლულ, დაჭრილ და უკვალოდ დაკარგულ ქართველ სალდათებისა.** ეხლა „ივერია“-ში დაბეჭდილია ახალი სია. როგორც ამ სიიდან სჩანს, მოუკლავთ: პეტრე კოლიჩავა, ილიკო შუბიტიძე, ევგენი სიხარულიძე, ბესარიონ ციკოლია, თეიმურაზ ბერია, ნესტორ მარგანია, ვასილ ჯაჯუა, ევთიმე კვარცხავა და დავით შუბიტიძე; უკვალოდ დაკარგულა: მოსოტოდი კოლანდია და ონისიმე პანასკუა; დაჭრილა: გიორგი ჯიქია, თეოფანე თოდუა, სიმონ ერაძე, სამსონ მაღლაკელიძე, დომენტი კვინტილია, სამსონ აკობია, ივანე ბერძია, ალექსანდრე სარჩიმელია, ანტონ გურცბაია, ნიკოლოზ რობაქიძე, მიხეილ ნუკერია, ალექსანდრე ნონაძე, ტარასი გალენიძე, ნოე თახილაძე, ესტატე გინდია, ნიკოლოზ კუკნიძე, ლუკა ხურცილავა, ნესტორ როგოა, თედო გულორდავა, პოლიხრონ ჩილინგერი, დიმიტრი ვახანია, ირაკლი კაჩერავა, გიორგი ჩიტაია, გრიგოლ კუკავა, მიხეილ ბიბია, საჩინო ცომაია, ივანე ოდიშარია და სამსონ აკობია. ყველა ესენი ზუგდიდის, სენაკის და შორაპნის მაზრებსა და სოხუმის ოლქიდან არიან.

◆ რკინის გზის ტფილისის **საქონლის** სადგურის მუშები დღემდე არ მუშაობენ და იმათ ნაცვლად საქმეს აკეთებენ სხვა და სხვა ადგილიდან დაბარებული მუშები და ჯარი. ამ ბოლო დროს მხოლოდ სალდათები მუშაობენ და ის ოცდა-თხუთმეტი ოსი კი, რომელიც ამას წინად დაიბარეს, ისევ კავკავში დაბრუნდა. ყველას, ნამესტნიკის ბრძანებით, სამგზავრო ბილეთი მიეცა. ეს ორასი დათხოვნილი მუშა დიდს გაჭირვებაში ჩავარდა. ესენი იმასვე თხოულობენ, რაც რკინის გზამ ბათუმის და ფოთის დამტვირთველ მუშებს აუსრულა.

◆ „მოსკოვსკი ვედომოსტ“-ის 21 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილია **ორი წერილი ქართველ სამღვდელოების კრებისა და ქართველ ეკკლესიის** შესახებ. ერთ წერილის აწერია: „კავკასიაში საეკკლესიო არეულობა“, მეორეს—„საქართველოს ეკკლესიის განდგომა“. წერილებში, რა თქმა თავისებურად, აწერილია სამღვდელოების ცნობილი კრება. ქართველ მღვდლებს ამ წერილებში იხსენიებენ „მეამბოხეებად“, „კრამოლნიკებად“, „პოლიტიკურ აგიტატორებად“ და სხვა.

◆ გუშინ, 25 აგვისტოს, სათავად-აზნაურო თეატრში ტფ. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. სუმბათაშვილის თავჯდომარეობით მოხდა ტფილისის მაზრის მემამულეთა კრება **წარმომადგენლების ამოსარჩევად სამაზრო საერობო საბჭოში.** კრება დიდის გაჭირვებით შესდგა. უკვე ნაშუადღევის 1 საათი იყო, რომ ჯერ 15 კაცი არ იყო მოსული. არ იყვნენ გლეხობა და სოფლის მემამულენი. როგორც იყო 22 კაცი შეიკრიბა და დაიწყო კრება. დაესწრო წარმომადგენელი მიწათ-მოქმედების გამგეობის რწმუნებულისა ბ-ნი ნევსკი და მომრიგებელი შუამავალი თავ. ერისთავი. წარმომადგენლებად სამაზრო საბჭოში არჩეულ იქმნა: ი. ს. ჯაბადარი, თავ. ა. ი. ორბელიანი, მ. ზ. ქანანოვი, ს. ს. ფერნაძე, თავ. ე. ლ. ციციშვილი, ვ. დ. თულაშვილი, ს. მ. გულისაშვილი, დ. პ. ეპრტაშვილი, ა. ა. ქალანთარი, თავ. ი. გ. ბარათაშვილი, დ. გ. ნახუცრიშვილი, ზ. ს. ზავრიევი, ნ. ი. საგინაშვილი, მ. პ. ისარლიშვილი, ე. ი. სვიმონიშვილი, კ. მ. ენიკოლოფიანცი და თავ. მ. ი. ჯამბაკურ-ორბელიანი.

◆ 25 აგვისტოს, ხალხის თანდასწრებით, ტფილისის ქალაქის საბჭოს უნდა გამოეთქვა თავისი აზრი **ჩვენში ერობის შემოღების შესახებ** და უნდა ამოერჩია 6 წარმომადგენელი სამაზრო საბჭოში. კრებას რამდენიმე ათასი კაცი მიაწყდა და დარბაზი, ქანდარა და ფოიე ისე გაივსო, რომ ნემსის ყუნწი არ ჩავარდებოდა. ხმოსნები 9 საათზე შეიკრიბნენ კერძო თათბირზე გამგეობის დარბაზში კანდიდატების დასასახელებლად. ხმოსნებმა გადასწყვიტეს აარჩიონ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, ან. ნ. ფურცელაძე, თავ. ა. მ. არგუთინსკი-დოლგორუკოვი, თავ. გ. მ. თუმანოვი, ექიმი ვესელოვზოროვი და ნ. ოსტროგორსკი. შემდეგ გაემართნენ დარბაზში, მაგრამ ქალაქის თავისა და სამ-ოთხ ხმოსნის მეტმა ვერ მოახერხა შესვლა. ქალაქის თავმა განაცხადა, მე ვიკისრე დღევანდელ კრების გამართვა იმ პირობით, რომ ხალხი უწესოებას არ მოახდენსო. ხალხიდან სთქვეს, ჩვენ არავითარ უწესოებას არ მოვახდენთ, ადგილს ხმოსნებისათვის საკმაოდ დავუთმობთ და სხდომა დაიწყეთ, მხოლოდ ნება უნდა მოგვეცეს, ჩვენც გამოვთქვათ ჩვენი აზრი დღევანდელ საკითხის შესახებაო. ქალაქის თავმა რამდენჯერმე განუმეორა ხალხს, დაეთმო დარბაზი და საკითხის განხილვაში არ ჩარეულიყო, მაგრამ ხალხმა არ მიიღო ასეთი წინადადება. ამის შემდეგ ხმოსნები დარბაზიდან წავიდნენ წავიდა ქალაქის თავიც. საბჭოს სხდომა ხალხის დაუსწრებლად 26 აგვისტოსთვის გადაიდო.

◆ ნამესტნიკის საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, თელავის მაზრის სოფელ ყვარელში მცხოვრებ გლეხებს ვარდო მამუკაშვილს, საბა ტოჩილოშვილს, ვანო ღივიშვილს და ნასყიდა ხანდურაშვილს ერთის წლის ვადით **აეკრძალათ თელავისა და სიღნაღის მაზრებში ცხოვრება.** სამი მათგანი ეხლაც თელავის საპყრობილეში ზის, ხოლო მეოთხეს ადმინისტრაცია ეძებს და დღემდე ვერ უპოვნია.

◆ 24 აგვისტოს ტფილისიდან საქართველოს-სამხედრო გზით კისლოვოდსკს კავკასიის ნამესტნიკთან გაჰგზავნეს ფოსტა საყურადღებო ქაღალდებით და 25,000 მანეთის საფასურ ნივთებით. ფოსტას გაჰყვა ორი შეიარაღებული ყაზახი-რუსი, მიხლეევი და შირეევი. ქალაქიდან ფოსტა ღამე გავიდა. როცა იგი დილომს გასცილდა, მე-14 ვერსზე, მუხადგვერდში, მოულოდნელად, როგორც ეს პოლიციის გამოძიებას აღმოუჩენია, გზის მარჯვენა მხრიდან ვიღაცეებს ხუთჯერ თოფები დაუშლიათ. მაგრამ ყაზახები და მეეტლე უვნებლად გადარჩენილან. როცა 30 საჟენის მანძილი გაუვლიათ, ახლა მარცხენა მხრიდან დაუშლიათ 4-ჯერ თოფები. ახლაც ტყვია არავის მოხვედრია. შემდეგ კიდევ უსროლიათ და ცხენი მოუკლავთ. რადგან ეტლი გაჩერებულა, ყაზახები ჩამომხტარან და მათსა და უცნობებს შორის სროლა ატყდარა. ერთი ყაზახი, მიხლეევი, იქვე მოუკლავთ, მეორე დაუჭრიათ. ამ უკანასკნელს განუგრძვია სროლა და ერთი უცნობი მოუკლავს. შემდეგ მსროლელნი გაფანტულან. დაჭრილ ყაზახს ნივთები მახლობელ დუქანში მიუტანია და მიუბარებია, თითონ კი პოლიციისთვის შეუტყობინებია. 25 აგვისტოს, დილით, მაზრის უფროსის თანაშემწის მეთაურობით ყაზახები წასულან ადგილობრივ და უნახავთ ერთი კაცი მოკლული, ხოლო მეორე დაჭრილი. როგორც გამოირკვა, მოკლული ყოფილა ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები სარდიონ მიქაძე, ხოლო დაჭრილი—შორაპნის მაზრის მცხოვრები ნიკოლოზ კუკნაძე. მიქაძე „ფრანცის“ სასტუმროში ყოფილა ჩამომხტარი. გაჩხრიკეს ამისი ნომერი და ნახეს არალეგალურ ჟურნალის ერთი ნომერი. კუკნაძეს მარცხენა ფეხი გადატეხილი აღმოჩნდა. პოლიციის გამოძიებით, კუკნაძე გაქცევის დროს კლდეზე გადავარდნილა და ფეხი მოუტეხნია. თვით არ გამოტეხილა, თავს დამნაშავედ არ აღიარებს და ამბობს თურმე, მე ჩემთვის გზაზე მივდიოდი; წინ ოთხი კაცი შემეჩება; მკითხეს, ვინა ხარო; მე ვუპასუხე, რა გინდათ, ვინცა ვარ-მეთქი. ამაზედ მომცვივდნენ და თოფის კონდახით ფეხი მომტეხეს და მცემესო. ფიქრობენ, რომ თავდამსხმელთ განძარცვა უნდოდათ ნამესტნიკის და ხაზინის ფოსტისა.

◆ კნ. ე. ბაგრატიონ-მუხრანსკის **დიღმის მამულის მოიჯარადრეებს** თავ. ნიჟარაძეებს შუამდგომლობა აღუძრავთ კავკასიის ნამესტნიკის წინაშე. ძმ. ნიჟარაძეები აცხადებენ, დიღმის გლეხობამ საიჯარო მამულზე, რომელშიაც 7,000 მანეთს ვიხდიდით, ხელი აგვაღებინა; ამასთან გლეხობამ გადაგვიწვა 900 მანეთის თივაო. ნამესტნიკის კანცელარიის განკარგულებით, ეს განცხადება გადაეცა იმ სამაზრო კომისიას, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს მემამულეთა ზარალი გლეხთა მოძრაობისაგან.

◆ ახალციხის მაზრის რამდენიმე **სოფლის საზოგადოებას შუამდგომლობა** აღუძრავს, სესხი მიეცეთ სასოფლო სამეურნეო თანხიდან სხვა და სხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

◆ შუშიდან შემდეგი დეპეშა მოგვივიდა:

„საშინელი უბედურება ეწვია შუშას: 16 აგვისტოს სომხებსა და თათრებს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა, რომელიც 20 აგვისტოს შუადღემდე გაგრძელდა. შერიგების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ქალაქის საუკეთესო ნაწილი—სომხებისა—სრულიად გადამწვარია. უბედურებამ ბევრი ადამიანი იმსხვერპლა და, გარდა ამისა, ნივთიერი ზარალიც მეტად დიდი: გადაიწვა 400 სომხის სახლამდე, მათ შორის ქალაქის გამგეობის, აფთიაქის, მომრიგებელ სასამართლოს, მარიამის სახელობის სასწავლებლის და თეატრის შენობანი. ცეცხლმა შთანთქა სომხეთა თითქმის ყველა მაღაზია. რამდენიმე ათასი კაცი დარჩა უსახლ-კაროთ და არსებობის ყოველ სახსარს მოკლებული. სომხების ნაწილში დიდი მოედანი მხოლოდ ნანგრევებს წარმოადგენს. რამდენიმე მილიონის ზარალია. მოუწოდეთ ყველა ქველმოქმედთ, დაეხმარონ უბედურებს, ვისაც რით შეუძლია. ქალაქში საშინელი სიძვირეა. უდანაშაულო მსხვერპლთ დაღუპვა მოელის, თუ ნივთიერ დახმარებას არ აღმოუჩენენ მსწრაფლად. დახმარე კომიტეტის სახელით ვთხოვ შემოწირულებას ფულით და ნივთებით. შემოწირულებათა გამოგზავნა შეიძლება შუშაში ეპარქიის უფროსის სახელზე და ტფილისში რედაქციების სახელზე. ამ ჟამად ქალაქში სრული სიწყნარეა. ეპარქიის უფროსი **ეპისკოპოსი აშოთ**“.

◆ ბორჩალოს მაზრის გადაკლარის და ხატის სოფლის მაჰმადიანთა საზოგადოებებს უთხოვნიათ მთავრობისთვის, გაუმჯობესონ მათი ეხლანდელი მდგომარეობა სახელმწიფო ადგილების დარიგებით.

◆ ი. ა. ამიროვის ნაანდერძევი თანხა ქონების განაღდების შემდეგ ისე გადიდდა, რომ ქალაქს შეეძლება მიეცა, ერთის სტიპენდიის ნაცვლად სახელოსნო სასწავლებელში, 4 სტიპენდია დაეწესოს. სტიპენდია მიეცემა ყველას, სარწმუნოებისა და ეროვნების მიუხედავად. თხოვნები გამგეობაში უნდა შეიტანონ მსურველებმა.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობას გუშინ აცნობა კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიის სამზრუნველომ, რომ ნ. გ. ზუბალაშვილის სახელობის თავშესაფარი მალე გაიხსნება და დროს გახსნისას შეატყობინებთ და სამზრუნველოდან სახლის გამგე-გამგეობისათვის წევრის მიწვევის შესახებ საკითხს მაშინ გადაწყვეტთ.

არსის დაპირისპირებისაგან გამოიყვანს მომავალს (devenir) უარყოფათა სერიების საშუალებით, როგორც ქათამს კვერცხისაგან; 2, არსებითობის (essence) თეორიისაგან როგორც არსებობის საფუძვლისაგან; 3, შეგნების თეორიისაგან (theorie de notion) შეგნება, მსჯელობა, დასკვნა=თეზისი, სინთეზისი, სინთეზისი). ეს თეორია განასხვავებს ობიექტს დასკვნაში.

მეორე ხანა, ანტითეზა: იდეია გამოჩეკილი, გამოსული თავის თავისაგან, ინდივიდუალურ მდგომარეობისაგან, შიგ-განვითარებისაგან გადასული ეგზოტერიაში, გარე-განვითარებაში გადაიქცევა იდეიად თავის თავისთვის ამ წინააღმდეგობის, უკუღმართობის საშუალებით, რომლის თესლიც მასში (იდეაში) იმყოფება და ამ დროს წარმოადგენს ბუნების ფილოსოფიას.

მესამე ხანა, სინთეზი: იდეია თავის თავად და თავის თავისთვის დაუბრუნდება თავის თავს დადგენის, უარყოფის და შერიგების საშუალებით, ე. ი. თეზით, ანტითეზით და სინთეზით. სუბიექტიური გონება (esprit) შეიქნება ობიექტიურად და ეს უკანასკნელი აბსოლიუტურ იდეად. პირველ ხანას (სუბიექტიურ გონებას) უდრის, შეესაბამება ანთროპოლოგია (ამას არაფერი საერთო არა აქვს იმასთან, რასაც მეცნიერება ეძახის ანთროპოლოგიას. ავტ. შენ.); მეორე ხანას უდრის ფენომენოლოგია, ფსიხოლოგია, ობიექტიური გონება, რომელიც განხორციელდება მართალსა, ზნეობებსა, ოჯახისასა, უფლებებსა, სახელმწიფოსა და საზოგადოებაში.

§ 10. ვიკმაროთ ეხლა ეს უზარმაზარი გადლიენცია და განებრივი კონსტრუქცია. შევნიშნოთ მხოლოდ, რომ, რადგან დიალექტიკა დაადგენს უარყოფით სცვლის, ჭეშმარიტების შეცდომით და vis versa თავისუფლებას მონობით, სამართალს უსამართლობით, და რადგან დოგიკურად ყველა წინააღმდეგი და უკუღმართი მცნება უმაღლეს (?) დიალექტიურ აზროვნებაში ერთია, იგივეა, ამიტომ იგი წარმოადგენს ნამდვილ ინდიფერენტიზმს, სტოიკს, რომელიც ავიწროვებს ჯოჯოხეთურ მაშინაც და მომაკვდინებელ სცდეს ერთ და იმავე დროს, ადასტურებს და ამართლებს ყველა ნაირ გამპრობას უმსგავსობასთან, შექმნა ცხოვრებაში თავგასულობის იეზუიტიზმი, რადგან „აბსოლიუტურ მომავალის დიალექტიკურ ბუნებაში“ ერთი მეორის წინააღმდეგი დადგენებაში (утверждение) არც ერთი არ არის ერთი მეორეზე უფრო მართალი.

§ 11 ჰეგელის მიმდევარ თეორიაში ბევრმა შეცდომით პროგრესის კანონები დაინახა, რადგან ჰგავს მეცნიერულ დეტერმინიზმს, მაგრამ ნამდვილად კი მეტაფიზიკური ფატალიზმია (გაიხსენეთ მარქსის ისტორიული ფატალიზმი), ამას კი არაფერი საერთო არა აქვს რა მეცნიერულ დეტერმინიზმთან. თუ ვიტყვით ჰეგელიანივით, რომ რაც რეალურია, რაციონალურია და vis versa, მაშინ ამით შესაძლებელი ხდება დაასაბუთება და დაკანონება ყველა უმსგავსობისა, რომელსაც რამე მიზეზი მოეპოვება (უმიზეზო ხომ არაფერი იქნება). ჩვენის აზრით, აუცილებლობა სხვაა და მიზეზობრივობა ან განსაზღვრულობა კი სხვაა; პრედეტერმინიზმი და ფატალიზმი აუცილებლობაა ან ბედის წერა, მაშინ როდესაც დეტერმინიზმი და მიზეზობრიობა ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ წინასწარი თუ არ არის, უკანასწორი არ შეიძლება. რომ ყველა შემდეგს თავისი წინადეგი აქვსო. თქმა იმისი, რომ რაც რეალურია ის რაციონალურიც არის, ნიშნავს, რომ არსებობს მხოლოდ ერთად-ერთი კონსერვატიული ძალა, რომ ყველაფერი წინდაწინვე განსაზღვრულია და, მაშასადამე, არც ცვალებადობა რამე მეგვიძლიან წარმოვიდგინოთ იმაში, რაც არსებობდა და ან შემდეგში მოხდება, რადგან არ შეგვიძლიან ჩვენდა თავად რამე ცვლილება შევიტანოთ ცხოვრების მიმდინარეობაში. ა. კონტიც ამ ნაირ ფატალიზმში ჩავარდა იმის გამო, რომ შეეპარა დიალექტიური აზროვნება ისტორიულ პროცესის შეგნებაში. იმის გამო, რომ კონტმა მიიღო, როგორც პროგრესის გამოხატულება, ის რიგი, რომელშიაც ერთი მეორეს უცვლელად მისდევს ფეტიშიზმი, პოლითეიზმი, მონოთეიზმი, მეტაფიზიკა და კრიტიკა, და ამის გამო, ვამბობ მე, კონტმა გაათავა იმით, რომ საწინააღმდეგო და სამართლიანობა, აუცილებლობა და კანონიერება (закономѣрность) ერთიმანეთში აურია. რომ ვთქვათ: ის, რაც მოხდა, უნდა მომხდარიყო, ახალს ვერაფერს ვიტყვით და ვერც ავხსნით მოვლენას—ეს ერთი; მეორე—თუ ვიტყვით, რომ რადგან მოსახდენი მოხდა, მაშასადამე, უნდა მომხდარიყო და ამიტომ რაც მოხდა, რიგიანი, კარგი და სამართლიანი იყო, მაშინ ნამდვილ ოპორტუნისტურ ფილოსოფიას დავემყარებით თეორიაში, ხოლო პრაქტიკაში—იეზუიტიზმს.

§ 12. თავისი შეხედულება განუწყვეტელ პროგრესზე, რომლითაც ყველა წინა ხანა უმაღლესი უკან ხანაზე, ჰეგელმა გადასცა ა. კონტს და ფეიერბახს, ჰეგელმა, კონტმა და ფეიერბახმა-კი მარქსს.—პირველ შესახედავად ამნაირ პროგრესის პრინციპი რადიკალურად მოგვეჩვენება, მაგრამ შემდეგ ისე ჰგავს ნამდვილ პროგრესს, როგორც ნახატი ადამიანს ან ბერლინის „ფანარი“ მზეს. თუ სჯობია შექმნა, ხელს შეუწყობს უგვედასიარ დესპოტიზმს და კომპრომისს, რომელსაც, საერთო დიდი ავტორიტეტი მიუწოდებს თავისუფლებას. განუწყვეტელ პროგრესს დიდი მნიშვნელობა აქვს დეიბნიცის ოპტიმიზმთან და მისთვის ერთი სოციალური ხანა იჭერს უწინდელ სოციალურ ხანის ადგილს იმიტომ. რომ შემდეგი უკეთესია უწინდელზე; ამიტომ, რომ მონოთეიზმი უკეთესია პოლითეიზმზე, კრიტიკა მეტაფიზიკაზე, მეტაფიზიკა მატერიალიზმზე; შემდეგ მატერიალიზმი უკეთესია მეტაფიზიკაზე, მეტაფიზიკა კრიტიკაზე და ასე წრემაც და უკუღმაც თუ, რასაკვირველია, დროში მისდევენ ყველა ესენი ერთი მეორეს. ამ ნაირი ოპტიმიზმი მით უფრო სამწუხაროა, რომ შეუძლია დაუმეგროს ზოგიერთ უცილობელ, მაგრამ კერძო სიმართლეზე და არა სულ ჭეშმარიტებებზე; სამწუხარო და სახიფათოა იმით, რომ ის წააგავს ჭეშმარიტებას, მაგრამ ჭეშმარიტება-კი არ არის; ჭეშმარიტება რომ იყოს, საშუალო საუკუნოები პროგრესი იქნებოდა, ე. ი. კლოტერის, კარლოს მსხვილის, ფილიპე პირველის და კარლოს მეექვსის დროებები უკეთესი იქნებოდა პერიკლის ხანაზე, ანტონინების მეხუთე და მეოთხე საუკუნოებზე ან ანტონინთა დროებაზე.

§ 13. ყველაზე უფრო უკუღმართობა და წინააღმდეგობა იჩენს თავს ჰეგელის სარწმუნოებრივ თეორიაში, ჰეგელის აზრით, ყველა სარწმუნოება ასრულებდა თავის დანიშნულებას (მართლაც რომ ასრულებდა!) და შეიცავდა ჭეშმარიტებას (არ არის საკვირველი, რადგან, განზრახ სულ შეცდომების თქმას რომ ვეცადოთ, მაინც ვერ შევძლებთ); მეორეს მხრით ჰეგელივე ანადგურებდა ყველა სარწმუნოებას თავის, პანტეისტურ მონიზმით. მიუხედავად ამისა მისთვის აბსოლიუტური ქრისტიანობა გამოიხატება იყო სარწმუნოებრივ გრძნობისა, ე. ი. სარწმუნოებისაგან სტოვებდა მხოლოდ ესსენციას. ე. ი აფერს, რომელსაც კანტის ტერმინოლოგიით ჰქვიანი „არ ვიცი რა“, რენანის ტერმინოლოგიით—დვთაებრივი გრძნობა. რაღა თქმა უნდა, თრწმუნოებაში ბრალი ედება არა თუ ყველა ფილოსოფიის პროტესტანტს, არამედ ჰეგელს ყველაზე მეტად; ეს თრწმუნოება ამათთვის ის ხიდია, რომელსაც ისინი სტოვებენ უკან ყველა შემთხვევისთვის, თუ ვინიცობა მათი ფრონტი დამარცხდა. მეცხრამეტე საუკუნის ფილოსოფიური ატმოსფერა მოწამლულია ზემოდ ხმოვანი ხ შებით; სენ-სიმონისტური სარწმუნოება, პოზიტივისტების office relqieux სრული ღმერთი, რომელიც ვერ წარმოგვიდგენიათ, მაგრამ მაინც დაპირკობენ იმაზე. ტენის „უმაღლესი აქსიომა“, რომელიც განუსაზღვრელობაში ჩამოთქმება, ყველა ამათ თუ მივუმატებთ ფეიერბახის (ჰეგელის შიმდევარი იყო) სოციალურ პანტეიზმს და მარქსის სოციალურ პანტეიზმთან ერთად, რომელიც ფეიერბახისაგან ის, ვის (კარგი სახსოვარი!), მარქსისგან დაწმინდულ ურთიერთობათა ფეტიშიზმს, მაშინ დავრწმუნდებით, რომ მეტაფიზიკური მიდრეკილება ჰეგელმა, მართლაც თავის ფილოსოფიურ ხელის კვრით და ისე მძლავრად შეუბერა სული, რომ მისი შემდეგ მოაზროვნეთა თანამედროვე აზროვნებას ატმოსფერაში.

§ 13. გიორგე ამბობდა: აი, მალე ღმერთი წმიდა იქნება, რომ გერმანელები ჰქმნიან ტრანსცენდენტალურ ფილოსოფიას; თუ თავიანთ თავს ერთხელ მაინც შეამჩნევს ეს, თავი ძლიერ სასტიკად ეწყინებათ“. სიკვდილი ყველაფერს ასწორებს: ჯიმბაზის და თინბაზის სიკვდილმა გაჰფანტა გონებრივი მირაჟი და იდეალიზმი; იდეალიზმის სამი სოფისტი (ამ სახელით შობენგაუერმა მონათლა) ფიხტე, შელინგი და ჰეგელი სხვაზე მეტად გაასჯერეს მართლა რომ „ტრანსცენდენტალურ სარკაზმებით“. ყველაზე უფრო ცხარე და გონების მახვილი მოწინააღმდეგე „სამის სოფისტის“ იყო შოპენჰაუერი. „გახსენით, ამბობს იგი, ერთი ნამცეცი აზრი ხუთას ფურცელ გულის ამრევ ფილოსოფიაში და დანარჩენში მაინდეეთ მართლა გერმანულ მოთმინებას მკითხველისას...“ გერმანელების არსებითად ნაკლს წარმოადგენს ძებნა დრუბლებში იმისა, რაც ფეხებთან არის. როდესაც მათთან წარმოსთქვამენ სიტყვას იდეას, რომელსაც რომელსამე ინგლისელისა ან ფრანგისთვის მკაფიო და სწორი მნიშვნელობა აქვს, გეგონებათ, კაცი ადიოდეს ჰაეროსტატით... უმაღლესი მიზეზი ტვინის გათახსირებისა იყო ჰეგელი, რომელიც ყველა ცნობილ საშუალებით უნდოდა განთქმულიყო დიდ ფილოსოფოსად და ვიდრე მიაღწია იმას, რომ გახდა კერპად (როგორც მარქსი) ზოგიერთ ჯერ გაუცნობელ და მეტად სამეცადინო შემოფარგლულ ახალგაზრდების თავებში“ (როგორც ზოგიერთ მარქსისტების თავებში მარქსი. შ. ა.).

§ 14. ჰეგელზე მეტი თუ არა, ჰეგელის ოდენი გავლენა იქონია მარქსზე და ენგელსზე ჰეგელის მოწაფემ ფეიერბახმა. ვისაც სურს გაიგოს მარქსის მოძღვრება, იმან უსათუოდ ჯერ ფეიერბახი უნდა შეისწავლოს, ხოლო შემდეგ მარქსი (§ 12). ფეიერბახის შესახებ კრიტიკოსები სწერდნენ, ვითომ იმისი მატერიალიზმი გვიანდელია (ახალი დანკი), მაგრამ ჩვენ სულ წინააღმდეგს ვხედავთ. მისი მოძღვრება უფრო იდეალისტური და სარწმუნოებრივია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შინაარსი ამ სარწმუნოებრიობისა კაცობრიობაა. „ღმერთი, ამბობს ფეიერბახი, იყო ჩემი პირველი აზრი; გონება—მეორე; კაცი—მესამე და უკანასკნელი აზრი“. ცხადია, რომ თუმცა ფეიერბახმა სარწმუნოება ანტროპომორფიზმად აქცია, მაგრამ იგი მაინც იმ აზრის ტყვედ დარჩა, რომელიც მან დაანგრია; ეგოიზმის მაგიერად ფეიერბახმა „შენ-ზმა“ (Tuisme) მოიგონა. „ყველა ჩვენი აზრი, ამბობს ფეიერბახი, წარმოშობილია გრძნობებიდან“. ავიწყდება, რომ უმეტესად მნიშვნელოვანი, უმეტესად არსებითი ნაწილი კაცის გრძნობებისა არის თვითონ კაცი; რომ მხოლოდ კაცს თავშია აინთება სინათლე შეგნების და გონიერებისა. მაშასადამე, იდეალიზმი მართალია, როდესაც ეძებს კაცში იდეების დასაწყისს, მაგრამ შემცდარია, როდესაც უნდა წარმოადგინოს ეს იდეები განკერძოებულ არსებისაგან, რომელიც ვითომ თავისთავად არსებობდეს, კაცისაგან, როგორც უხვადად სულისაგან, ერთის სიტყვით მე-საგან უ-შენ-თა, რომელიც გრძნობისაგან წარმოშობილია. იდეა აბადება მხოლოდ ურთიერთობით, მესაითით კაცსა და კაცს შორის. ერთი კერ მიაღწევს, მხოლოდ ორი მიაღწევს იდეებს, ცნებას საზოგადოდ. საწყობი ორი ადამიანური არსება ერთის კაცურ არსების წარმოსაშობად, როგორც გონებრივად ისე ფიზიკურად: საზოგადოება კაცის კაცთან არის პირველი პრინციპი და კრიტერიუმი ჭეშმარიტების და ზოგადობისა“.

„კაცს, რომელიც სცხოვრობს განკერძოებულად, მარტო თავისთვის, არა აქვს კაცური არსებითობა, არც როგორც მორალურ არსებას, არც როგორც მოაზრე არსებას. კაცის არსებითობას შეიცავს საზოგადოება კაცის კაცთან დაახლოვებულ ერთობაში, რომელიც მაინც დამყარებულია რეალურ განსხვავებაზე მე და შენ შუა. (phyl dэr zukuntt) „ამნაირად ფეიერბახი არ არის არც მატერიალისტი, არც იდეალისტი, არც ერთის იგივეობის ფილოსოფოსი. აბა რა არის იგი? იგი აზრში არ არის იგივე რაც საქმეში, სულში იგივე, რაც ხორცში, არსებაში იგივე რაც გრძნობაში, ის არის კაცი ანუ უფრო სწორედ რომ ვსთქვა ის არის საზოგადო კაცი (Общечеловѣкъ), კომუნისტი“. (Критика о индивидѣ и его собст., Сущность Христ.).

როგორც სხვა ადგილიდან სჩანს, ცხადია, რომ ფეიერბახის გონებამ თუმცა ერთ ადგილას ძლიერ ძლიერად სძლია ანტროპომორფიზმს, მაგრამ მეორე ადგილას დიალექტიკის წყალობით თვითონ ჩავარდა ტყვედ თავის მიერ დამხობილ და შექმნა ძველის სარწმუნოების მაგივრად ახალი სარწმუნოება—ს რწმუნოება კაცობრიობისა. შტირნერი (ინდივიდუალისტი) ტყუილად კი არ ეძახდა თეოლოგს“.

შ. ნუარე

◆ ჩვენსა და სხვა გაზეთებში დაბეჭდილი ამბავი, ვითომ ტფ. სადგურის უფროსის ტურბილოვსკის მკვლელის გამო სადგურის უფროსის თანაშემწე ჩიქოვანი დაპატიმრებინოთ, როგორც ნამდვილად გავიგე, სიმართლეს მოკლებულია.

◆ **სად. ქიათური.** 25 აგვისტოს. შუადღის 12 საათზედ, მანევრების დროს, საჩინო ვაზაძეს უნდოდა გადაერბინა ლიანდაგზე, მაგრამ ორთქლმავალმა მოასწრო, აითრია და დააზავა.

◆ **სად. ჩაქვა.** 24 აგვისტოს, დილის 9 საათზედ, ალექსანდრე ჟღენტმა დასჭრა თავში კონდუქტორი ერმანი.

◆ **სად. სოლანლუღი.** 25 აგვისტოს, ღამის 1 საათზედ, სახალხო მატარებელმა გასრისა ლიანდაგის მომუშავე გიორგი ქსოვრელი.

◆ **სად. ალექსანდროპოლი.** 24 აგვისტოს მე-200 ვერსზედ მძიმედ დასჭრეს მებუდკე.

თათრების და სომხების შეტაკება.

ბაქოში, როგორც იქნა, მიწყნარდა ჟლეტა-ხოცვა, მაგრამ ახლო-მახლო ისევ ჯოჯოხეთია. შეტაკება 25 აგვისტოს მოხდარა და სიწყნარე ქალაქში მხოლოდ საღამოს 6 საათზე ჩამოვარდნილა. რადგან სროლა შეწყვეტილა, შესდგომიან ცეცხლის ქრობასაც. აქა-იქ ქუჩებში მოძრაობა განახლებულა. ეს თვითონ ბაქოში, გარემოში კი ისევ ხოცვაა. ბიბიეიბათში ნავთის ყველა კოშკი გადამწვარა. ნავთის მადრეგნებს გუშინაც ეკიდა ცეცხლი. იწვის კასპიის ამხანაგობის ორი უზარმაზარი აუზი და ისეთი ცეცხლია, რომ კაცს ჯოჯოხეთი ეგონება. საბუნჩოში თითქმის ყველაფერი ცეცხლს უმსხვერპლია. იქ ჯარსაც ვერაფერი გაუწყვია. 24 აგვისტოს, დილით, რადგან ძლიერი ქარი ქროდა, ცეცხლი მოსდებია საქონლის საწყობს, რკინის გზის სადგურს და იქვე დაწყობილ კერძო კაცთა საქონელს. ერთ წამში ყველაფერი რაღაც საშინელებას წარმოადგენდა თურმე. ყოველივე საშუალება უხმარიათ და სადგური გადაურჩენიათ, დანარჩენი კი ცეცხლს შთაუნთქავს. რკინის გზის გამგეობამ ტფილისიდან აგენტი გაგზავნა ზარალის გამოსარკვევად და დროებით ფარდულის ასაგებად.

რკინის გზის საავადმყოფოს ბაქოში დიდძალი დაჭრილი მიაწყდა თურმე. რადგან იქ ადგილი არა ყოფილა, ავადმყოფებს ლიანდაგიდან აღარა ჰგზავნიან. ტფილისიდან ბაქოში ქირურგი გაიგზავნა. დიდძალი ხალხი მიაწყდა თურმე აგრეთვე საბუნჩის სადგურს. ზოგიერთი დედა-შვილი მისულა, რადგან ყველაფერი ცეცხლს უმსხვერპლია. ესენი დაჟინებით თხოულობენ, გვიშველეთ, წაგვიყვანეთ აქედანაო. ამათ წამოსაყვანად ტფილისიდან აუარებელი სახალხო მატარებელი გაიგზავნა. ბაქოდან მატარებლები აღარ გამოდიან, რადგან მსახურნი სადღაც გადამალულან და არ იციან, ცოცხლები არიან თუ მკვდრები.

მდიდარმა მაჰმადიანმა ტაგიევმა გუშინწინ დეპეშა გაუგზავნა ნამესტნიკს და აცნობა, ჩემს სამანუფაქტურო ფაბრიკას, სადაც ორი ათასი რუსი და მაჰმადიანი მუშაა, აკლებას უპირებენ; ბიბი-ეიბათიდან გამოსულა გემი, რომელზედაც ხუთი ათასი შეიარაღებული სომეხია. ესენი ჩემს ქარხნის წინააღმდეგ მიდიან და გთხოვთ, დახმარება გამოწიოთო.

მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვნობა ჯერ სავსებით არ არის გამორკვეული. სპარსეთის ელჩს ტფილისში დეპეშა მოსვლია, რომ მარტო სპარსეთის ქვეშევრდომი 50 კაცია მოკლულიო.

ბაქოს კიდევ მიაშველეს ჯარი. ყაზახიდან გაუგზავნიათ დრაგუნთა პოლკის ერთი ნაწილი და არტილერია, ხოლო დერბენდიდან—გუნიბის პოლკი.

შეტაკების შემდეგ ბაქოს ქუჩებში, როგორც გვატყობინებენ, განცხადება გაუკრავთ. ამ განცხადებაში ნათქვამია, რომ რომელიც ერიც შეტაკებას დაარღვევს, ხუთ მილიონ მანეთ ჯარიმას გადაიხდისო.

შუშაში უფრო მალე დაწყნარდა ხალხი. როგორც გენერალი თაყაიშვილი, რომელიც ჯარით გაიგზავნა შუშაში, იუწყება, წესიერება ყველგან აღდგენილია, როგორც შიგ შუშაში, ისე ევლახსა და შუშას შუა.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

25 აგვისტო

პეტერბურგი. „სლოვო“-ს სიტყვით, ნავთის მწარმოებელთა წერილი ბაქოს მდგომარეობის შესახებ ფინანსთა მინისტრმა კავკასიის ნამესტნიკს წარუდგინა. ნავთის მწარმოებელნი ამშვიდებენ ხალხს იმით, რომ ჩრდილოეთის რაიონი უზრუნველ-ყოფილია მთელის ზამთრისათვის ნავთითო.

„ნოვოე ვრემია“ ამბობს, ფინანსთა სამინისტრო იხილავს საკითხს, მაზუთის კრიზისის გამო ნახშირი შემოიტანოს.

„ნაშა ჟიზნ“-ი იუწყება, ბაქოში წავიდა რამდენიმე ნავთის მწარმოებელი, რათა დაწვრილებით გაეცნონ იქაურ ამბებს და მოხსენება წარუდგინონ ფინანსთა მინისტრს.

„რუს“-ი ამბობს: ერთმა გავლენიანმა პირმა სთქვა, რომ, მართალია, ბაქოს მდგომარეობა სერიოზულია, მაგრამ ნავთის წარმოება არ დაღუპულა, როგორც ამას ზოგიერთნი ამბობენო. ფინანსთა სამინისტრომ ორი მოხელე გაგზავნა ბაქოს. კავკასიის ნამესტნიკს გაუგზავნა დეპეშა, მიიღოს, რაც შეიძლება ენერგიული ზომები. ბაქოს ამბების სიღრმის გამოსაკვლევად გაიგზავნა სამთო დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი და გადასახადთა დეპარტამენტიდან ნარდოვი.

ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა უთხრა „რუსი“-ის თანამშრომელს ბაქოს ამბების შესახებ, რომ აუარებელი ზარალია და ეს ამბავი უსათუოდ იმოქმედებს ვაჭრობაზეო. დაზოგვილი შემონახული თითქმის არაფერი არაა და, ძნელია ითქვას, როდის განახლდება ნავთის დამუშავება. უნდა მიღებულ იქნას ძლიერ ენერგიული ზომები რადგანაც ნავთის კრიზისი ყველაზე უსაშინლესი კრიზისია ჩვენის ქვეყნისთვის. საჭიროა უარყოფილ იქნას ძველი უნდობლობა და იჭვიანობა, რომელთაც მსხვერპლად სწირავენ ნამდვილს ინტერესებს სამშობლოსასო. გუშინ კერძო თათბირი ჰქონდათ ნავთის მწარმოებელთ ნობელთან პეტერბურგში. გადასწყვიტეს ჩქარა სიეზდი მოიწვიონ პეტერბურგში. ფინანსთა მინისტრმა კოკოვცევმა მიიღო დეპუტაცია ნავთის მწარმოებელთა და გადასცა მათ, რომ უმაღლესად ნაბრძანებია, მიღებულ იქნას თვით უძლიერესი ზომებიო.

სოფლად

თელავი. 22 აგვისტოს შემდეგი ამბავი მოხდა: შუადღისას თელავის მცხოვრებლები შეიკრიბნენ, მიუცვივდნენ იმავე დღეს თეთრ გიორგიდან დაბრუნებულს სანდრო მამუკაშვილს, რომელიც გათქმული ავაზაკი იყო უშიშრობით, გამბედაობით და შეუპოვრობით და რომელსაც მეტ სახელს მარახოშას ეძახდნენ, დაიჭირეს სახლიდან გაქცეული და ხანჯალ ამოწვდილი, გაიყვანეს რიყეზედ და ჩააქვავეს. იმ დროს, როცა ხალხი სასჯელს ასრულებდა, დუქნები მთელ თელავში დაკეტილები იყო. მაყურებელთა შორის, პოლიციას საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი.

გავიდა სამი საათი და მოისმა გუგუნი ხალხისა: აღმოჩნდა, რომ თავ. გ. ვახვახიშვილის სახლის კარმიდამო სავსე იყო სოფ. კურდღელაურელ კაცებით და დედაკაცებით. ყველა მათგანი ყვიროდა, ყველა ერთსა და იმავეს ჩიოდა; „აგვხსენით ზეკუცია, ხომ გაგისწორდით, ერთი-ორად ჩაგაბარეთ, რაც გერგებოდათ, რას გვემართლებით, ცარიელი სულიც აღარ შეგვარჩინეთო“!

თურმე სოფლის ბოლოზედ საქონელი დაუტაცნიათ ყაზახ-რუსებს, სირბილში ზოგი საქონელი გზაზე დაცემულა, ზოგი-კი ამოურეკიათ ბანაკში. ამაზედ გამწარებული ხალხი, ისედაც სხვა საზეკუციო გადასახადებით შევიწროვებული, შეკრებილა ერთად, მისდგომია ჯერ თავ. ნ. ვახვახიშვილს და თავ. ც. რუსიშვილს, ისინი გამოუძღვარებია, მისულა თავ. ვახვახიშვილთან და ამ სამისაგან ითხოვდა ზეკუციის ახსნას. მოიყვანეს თავადები სამაზრო გამგეობაში. ამასობაში შეატყობინეს ყაზახ-რუსებს და ერთი რაზმი იქ დაიბარა.

გაგზავნეს ბოქაული მაზრის უფროსთან, რომელიც სწრაფად მოვიდა, აცნობეს საქმის გარემოება. იმან უთხრა, წადით წინანდალს გენერალ თავ. ზ. გ. ჭავჭავაძესთან, სთხოვეთ, იმან უნდა ახსნას ეკზეკუციაო.

ორი დღის წინად პოლიცია სთხოვდა გლეხებს ხელწერილს, რომ ბოიკოტი არ გამოუცხადოთ თავადებს და მათ უნებურად იმათ მამულში არ შეხვიდეთო. ამაზედ უარი განაცხადეს გლეხებმა და მიტომ არ ახსნეს ეკზეკუცია. თავ. ზ. გ. ჭავჭავაძემ შეიწყნარა თხოვნა გლეხებისა და ღამის ორ საათზედ ახსნა ეკზეკუცია. წმიდათა ცხოვრებაში სწერია: „ყველა უბედურება, რომელიც წინა მოსწავებით იწყება, სასჯელია დამნაშავეთაო. თუ ერთი უბედურება ვერ ამხელს დამნაშავეთ და არ გასწორდებიან, სხვებს მოელოდნენ, ვითარცა ეგვიპტელნი, რომელნიც ათის უბედურებით იყვნენ დასჯილნიო“.

მკითხველისთვის მიმინდვია გამოიცნოს, ვინ არის მხილებული და ვის გასწორებას თხოულობს ცხოვრება. **დამსწრე**

რუსეთის ქრონიკა

მეამბოხე მატროსთა დასჯა. 12 აგვისტოს პეტერბურგში მოიყვანეს სევასტოპოლიდან და ლიბავიდან 3000 მატროსი. ამ მატროსებს მონაწილეობა მიუღიათ გემებზე მომხდარ არეულობაში. ამ მატროსთა უმეტესი ნაწილი ხმელეთის ჯარში გადაუყვანიათ, ამასთან გაუგზავნიათ ციმბირისა და რუსეთის სხვა განაპირა მაზრის პოლკებში. ლიბავიდან მოსულ მატროსთაგანი ორი გაქცეულა მიხაილოვის მანეჟიდან, ამის შემდეგ მანეჟისათვის გარშემოურტყამთ პოლიცია, რომ სხვა მატროსებიც არ გაქცეულიყვნენ. („რ. გაზ.“).

პოლიციის ფარ ხმლის მსხვერპლი წინამძღვარი. 29 ივლისს ტამბოვის გუბერნიის კირსანოვის საავადმყოფოში მიუყვანიათ ერთი გონება მიხდილი ახალგაზრდა გლეხი ს. დიალოკოვი, რომელიც ორი დღის შემდეგ გარდაცვლილა. ნათესავებს განუცხადებიათ, რომ დიალოკოვი მთვრალი უნახავთ ბაზარში და წაუყვანიათ პოლიციაში, სადაც პოლიციის მოხელეებს ბურცევსა და სხვებს ჯერ უცემიათ, მერე ხელები გაუკრავთ უკან და ისეთის ძალით წაუქცევიათ იატაკზე, რომ მთვრალს გონება დაჰკარგვია, მაგრამ მაინც კიდევ განუგრძობიათ ცემა. დიალოკოვი გაუკვეთიათ და შემოწმებით დარწმუნებულან, რომ ხერხემლის ტვინის შერყევით მომკვდარა. ზურგზე დაჟეჟილი ადგილიც უნახავთ. პოლიციის ამ საზიზღარ მოქმედებას მთელი ქალაქი აუღელვებია. („რ. ვედ.“).

წერილები

გურია. ვიცი, მკითხველო, ამ წერილის სათაურს რომ წაიკითხავ, იტყვი, აქ რამე საინტერესო იქნება, აბა ვნახოთ რას გვწერენ გურიიდანაო, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ისეთ რამეზე უნდა გესაუბრო ამ ჟამად, რომელიც ვიცი არ გესიამოვნება, თუ-კი ჭეშმარიტი ადამიანი ხარ და ცხოვრებას ისე ბრმად არ უყურებ, როგორც ეს მოუვიდათ გურიაში ზოგიერთებს და უმისოდაც გამძვრალ ტყავს (ეხლა თავის ნებით) კიდევ უფრო აძრობინებენ ვიღაც მატყუარას. მე მოგახსენებ იმ ვაჟბატონზე, რომელიც ამ ორი თვის წინად ჩუმად, ფარულად შემოეპარა ს. გურიანთას ექიმის სახელით და მანამდე თალა ცხვრის დუმა, სანამ არ შეუტყვეს ოინბაზობა. როგორც თქვენს გაზეთებშიაც იყო მოხსენებული, ეს უტიფარი ვაჟი შორს არ წასულა, ს. გურიანთიდან ს. შემოქმედში გადაბარგდა და რამდენიმე ბატონის პროტექტორობით იქ მოიკალათა. მისი ეზო მუდამ დღე სავსეა ავადმყოფებით, საიდან, რომელი სოფლებიდან არ მოდიან გასასინჯად. ხომ გაგიგონიათ: „წყალ წაღებული ხავს ეჭიდებოდა“-ო. ავადმყოფის საქმეც ასეა: დარწმუნებულია, ეს ვიღაც უცხო ექიმია, მაგის წამალი მაინც-კი მომიხდებაო და მანამ არ მოშორდება, სანამ 5—10 მანეთს არ შეაპარებს. ამბობენ: ჰყავს აგენტები, რომელნიც ხალხში კარგს სახელს უვრცელებენ, ხოლო თუ ვინმემ რამე საწინააღმდეგო სთქვა, მუჯლუგუნს უჩვენებენ და ჩააჩუმებენო, ამისათვის-კი ექიმისაგან ჯილდოს იღებენო. თან ახლავს შეიარაღებულები რომ გლახად არავინ არაფერი ჰკადროს :ქვეყნის მატყუარას... აქვს რაღაც სარკე. ავადმყოფს პირს ააღებინებს და ჩახედავს შიგ, ვითომ და ყველაფერს ხედავს და ამით ხალხს თვალებს უბრმავებს, მაგრამ ხალხი რაღა გავამტყუნოთ, როცა სოფლის მასწავლებელი, რომელსაც მეტი მოეთხოვება, ისიც კი ხელს უწყობს და თუ ვინმემ რამე სთქვა, მის წინააღმდეგ ხალხს ამხედრებს. ასეთია, მაგალითად, ბ. ი. ჩ—ლი და ზოგიერთნი სულიერი მამებიც.

რომ ჩემი სიტყვები ვინმემ კერძობით არ ჩამოართვას და რედაქციაც შეცდომაში არ შევიყვანო, მოვიყვან აქვე იმ ნამდვილ ცნობებს, რომელიც შევკრიბე ამ საოცნებო დიაგნოზ ექიმზე. ოზურგეთში მცხოვრებმა ბ-ნ მაქსიმე ანტონის ძე ღლონტმა გადმომცა შემდეგი: სახლში ავადმყოფი მყავდა, შინაურები ამიხირდნენ: გინდა თუ არა მოიყვანე ახალი „დოხტორი“-ო. მეც რაღა მექნა, წავედი; ეზოში ძლივს შევეტანე, ურმებით სავსე იყო იქაურობა. დიდი ხნის ყურ-ყუტის შემდეგ, აივანზე გამოვიდა ერთი ჩემი ნაცნობი მეგრელი, რომელიც ამ ორი წლის წინად ჩემთან იყო მწერლად ოჩამჩირეში. ამ კაცის დანახვა, როგორც ნაცნობის, გამეხარდა, რადგან ვიფიქრე, ეს დამეხმარება ექიმი რომ სახლში წამყვეს-მეთქი. მაგრამ იმედი გამიცრუვდა, ჩემმა ნაცნობმა მეგრელმა ერთი კი შემომხედა და მაშინვე, თითქოს ეკალი ესხლიტაო, უკან მიტრიალდა, ოთახში ჩაიკეტა, თითქოს ვერ მიცნო. ვკითხე, როდის გამოვა ექიმი-მეთქი. მითხრეს: ექიმი ეს იყო, ეხლა რომ გამოვიდა, მაგრამ ძალიან დაღლილია და დღეს მეტს არავის მიიღებსო. მე გავოცდი: რის ექიმი, რა ექიმი, ეს ექიმი კი არა მწერალია, რომელსაც ისე კარგად ვიცნობ, როგორც ჩემს ხუთ თითს, მხოლოდ ეხლა ტანისამოსი გამოუცვლია და წვერიც შეუკრეჭია. ეს არის სანდრო დარახველია, თუმცა აქ ამბობს ივანე მქვიანო, ქუთაისში კი მელია ვარო, ამბობდა თურმე. მე მაშინვე წამოვედი და ყველას ვუამბე ეს საოცარი ამბავი, მაგრამ კეტით გამომიდგნენ, ვინცდაა კაი ექიმი კია, და შენ რა გენაღვლებაო. ოჩამჩირეში შულერს ეძახდნენ, ერთობ გამოქნილი კაცი იყო, ხანდახან ადვოკატობდა კიდეც, აშორდიას ცალათ სთვლიდნენ. იქ ცოლ-შვილიც ჰყავს, ამ ბოლო დროს სადღაც წავიდა, ხოლო სად, არ ვიცოდით. ეხლა კი, როგორც სჩანს, ექიმობა დაუწყია. მოდი ამის შემდეგ და გაგიკვირდეს რამე ქვეყანაზე...

გურიანთაში ამ ყმაწვილმა ქალი შეირთო, ბათომში დასწერეს ჯვარი ხოლო პირველი წყება ცოლ-შვილი კი ოჩამჩირეში ჰყოლია!.. სამეგრელოდან (ზუგდიდელი ყოფილა) გამოუძევებიათ. როგორც ვიცით ბ-ნი ექიმი წამლებს თითონ ამზადებინებს ყველად უსუფთაოდ ვიღაც პაპიკოვის შვილს, რომელსაც ბათომში აფთიაქის საწყობი ჰქონია, რეცეპტს სწერს ძვირფასიანს, ხოლო წამალს კი აძლევს ვითომ იაფად და თან ეუბნება, მე თუ წამლებს ძვირად ვყიდი იკითხეთ აფთიაქში რა მოგთხოვონო. გამოსაცდელად ერთი რეცეპტი მართლაც მიიტანეს ოზურგეთის აფთიაქში და მოითხოვეს ათ მანეთამდე, მას კი მიეცა ცხრა აბაზად. განა ეს დასაჯერია და აქ რაღაც თვალთმაქცობა არ არის?!. დავიჯეროთ, რომ ის ასეთი ხალხის მეგობარია, რომ ათ მანეთიანს ცხრა აბაზად ჰყიდის?!.. ნუ თუ კიდევ ვეღარ უნდა ვისწავლოთ ჭკუა!? სინამ უნდა გვაძრობს ტყავი ასეთმა მატყუარა მარჩიელებმა და „ზნახარებმა“!?. გურიაში მაინც არ მომხდარიყო ასეთი სამარცხვინო ამბავი![*] **ლით.**

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

26 აგვისტო

პეტერბურგი. მთავრობის ცნობა. იმ კომისიის მუშაობა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა უნივერსიტეტების საკითხის გამოკვლევა და თავის აზრის გამოთქმა და რომელმაც საჭიროდ სცნო უმაღლეს სასწავლებლების გარდაქმნას საფუძვლად შინაური თვით-მმართველობა დაედოს, უკვე დასრულდა. ხელმწიფე იმპერატორმა საერო განათლების მინისტრის მოხსენებაზე ამის შესახებ 7 აგვისტოს ბრძანა, მიენდოს საერო განათლების მინისტრს შემდეგი: 1. მიღებულ იქნას სახეში თვით პროფესორთა კოლეგიების მოსაზრებანი და დაუყოვნებლივ დასრულდეს მუშაობა ახალ წესდების შესადგენად ზემოხსენებულ საფუძველზე სახელდობრ: დაედვას განახლებას საფუძვლად პროფესორთა კოლეგიებისათვის შესაძლებელ თავისუფლების მინიჭება თვითეულ უმაღლეს სასწავლებლის მართვა-გამგეობის საქმისა, მასში სასწავლო წეს-წყობილების ხელმძღვანელობისა და აკადემიურ ცხოვრების წესებისა და მშვიდობიანს მიმდინარეობის დაცვაში; 2. რათა არსებულ წესდებათა ძალაში ყოფნის დროს უზრუნველ იყოს ავტორიტეტი და დამოუკიდებლობა პროფესორთა კოლეგიისა, დაუყოვნებლივ შემუშავდეს დროებითი წესები საერო განათლების უმაღლეს სასწავლებლებთა მართვა-გამგეობისა და წარედგინოს ეს წესები ისე, როგორც უმაღლესად ნაბრძანებია.

25 აგვისტოს ხელი მოაწერეს უმაღლეს ბრძანებას, რომლის ძალით ლეიბ-გვარდიის მესამე მსროლელთა ფინის ბატალიონის ჯარის კაცნი სხვა და სხვა პოლკებში უნდა განაწილონ.

ტოკიო, 25 აგვისტო. არეულობა ჩაქრა. გუშინ საღამოს მოჰკლეს ორი და დასჭრეს 500. იმპერატორის ბრძანებით ომიანობის დროის წესები გამოცხადდა. ტოკიოში არეულობა დღეს განახლდა საღამოთი. ბრბომ დასწვა და გაანადგურა ქრისტიანეთა 10 საყდარი.

ნიუ-იორკი. კომურამ, ტოკიოდან არეულობის ამბების მიღებისთანავე, მოისურვა დაუყოვნებლივ ენახა რუზველტი.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

26 აგვისტო

სიტიაზა. იაპონელთ უფრო და უფრო ემატებათ ძალები, მეტადრე წინა რაზმებში.

ტოკიო, 25 აგვისტო. გუშინ დილით ხალხი კიდევ შეეცადა შეკრებილიყო ხიბიის პარკში, მაგრამ სალდათებმა არ გაუშვეს. მოხდა რამდენიმე შეტაკება პოლიცია, რომელსაც ხალხი მტრულად უცქეროდა, გააძევეს და მის მაგიერ ჩააყენეს ჯარები და ჟანდარმები. უცხოეთის საელჩოებს სალდათები იცავენ. „კოკუმინ“-ის რედაქცია გარს შემორტყმულია, კარებსა და ფანჯრებთა,ბარიკადებია აღმართული. მთელს რაიონს პოლიცია აკრავს გარშემო. ხალხი დაეცა პოლიციის 10 ნაწილს, დასწვა იგინი და იარაღი აართვა პოლიციას ისე, რომ არავინ არ დაუშავებია. საღამოს ქალაქის შუაგულისკენ გაიგზავნა იმპერატორის გვარდიელები სახელმწიფო შენობების დასაცველად, რომელთაც ბარიკადები არტყია გარშემო. არც ტრამვაი მუშაობს, არც ვაჭრობაა არეულობის ადგილებში. დაიჭირეს 200-მდე კაცი, მათ რიცხვში 80, რომელნიც შინაგან საქმეთა მინისტრის სახლს დაეცნენ. არეულობის მიზეზი იმაშია, რომ ხალხს დაუმალეს პორტ-სმუტის კონფერენციის შედეგი და აგრეთვე დაარღვიეს ხალხის კონსტიტუციონური უფლება შეკრებისა საჯარო მიტინგებზე მთავრობისათვის პროტესტის გამოსაცხადებლად. გაზეთი „ჯიჯი-შიმპუნ“-ი იმედოვნებს, რომ ჯარები მზად არიან საბოლოოდ შეებრძოლონ მტერს, თუ რატიფიკაციაზე უარი სთქვესო.

---

[*] სასურველია, ამ კაცის შესახებ თუ ვინმემ რაიმე იცის, გამოაქვეყნოს გაზეთის საშუალებით. ავტ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ვ. ჯაბადარი

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მსესხებელთაგან მიღება, ვალამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ე. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/ა, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 445. (ჩ.)

ვეძებ სასმელების

პატენტს თავის მოწყობილებით. ვთხოვთ მაცნობოთ ვაგზლის ქუჩაზე. იკითხეთ მებუფეტე. (1—334—1)

სახელოსნო სასწავლებელი ა. მიქიანოვისა და ნ. ბერიევისა, გადატანილ იქმნა კარგად მოწყობილ ახალ შენობაში გონჩარნი ქუჩიდან ავჭალის ქუჩაზედ № 19, სახ. ზალიევისა. ვასწავლით საუკეთესო ხელოვნებას და წიგნებითაც გვედივართ საჭირო საგნებს, ვიღებთ საცხოვრებლად ქალებს. (3—336—1)

ԲԱՑՈՒԱԾ Է ԲԱԺԱՆՈՐԴԱԳՐՈՒԹԻՒՆ

„ԱՐՇԱԼՈՅՍ“

գրական, հասարակական, քաղաքական, տնտեսագիտական պատկերազարդ օրաթերթի,

որ լոյս է տեսնելու օգոստոս ամսի վերջերից՝ ռուսաց «Русскія Вѣдомости» օրաթերթի մեծութեամբ (տարեկան բաժանորդագինը 7 ռ.)։

«Արշալոյսի» նպատակն է լինելու ընթերցանութեան թարմ և օգտակար նիւթ մատակարարել հայ ընթերցողներին՝ արծարծելով առաջադիմական լուսամիտ գաղափարներ, բացատրելով ընթացիկ կեանքի երևոյթները, հասարակական պէս-պէս հոսանքներն ու հրատապ հարցերը և այդ բոլորի միջոցով նպաստել հայ ազգի զարգացմանն ու քաղաքակրթութեանը։ Աշխատակցելու հրաւիրուած են յայտնի հեղինակներ ու մասնագէտներ։ Բացի դրանից խմբագրութիւնը լայն ասպարէզ է բանալու հայ երիտասարդութեան առաջ, առանձնապէս աշխատելով տեղ տալ թարմ ու օգտակար ույժերին և գործադրելով գրական աշխատանքի վարձատրութեան սկզբունքը։

«Արշալոյսն» ունենալու է հետևեալ բաժինները.

1. ԿԱՌԱՎԱՐՉԱԿԱՆ ԿԱՐԳԱԴՐՈՒԹԻՒՆՆԵՐ. 2. ԱՌԱՋՆՈՐԴՆԵՐ. 3. ՀԵՌԱԳԻՐՆԵՐ—(Գործակալութեան և սեպհական). 4. I. ՆԵՐՔԻՆ ՏԵՍՈՒԹԻՒՆ.—ա. Ներքին լուրեր և բ. Փոքրիկ յօդուածներ ընթացիկ հարցերի մասին։ II. ԱՐՏԱՔԻՆ ՏԵՍՈՒԹԻՒՆ.—ա. Յօդուածներ արտասահմանեան խոշոր դէպքերի մասին. բ. Թղթակցութիւններ արտասահմանից. գ. Քաղաքական լուրեր. դ. ՀԱՅԿԱԿԱՆ ԿԵԱՆՔԻ ՇՈՒՐՋԸ.—Տեղեկութիւններ արտասահմանեան հայկական կեանքից. քաղուածքներ արտասահմանեան հայ թերթերից, հարկաւոր դէպքերում խմբագրական բացատրութիւններով ու նկատողութիւններով։ III. ԿՈՎԿԱՍԵԱՆ ՔՐՈՆԻԿՈՆ.—ա. Յօդուածներ գիւղ. գաւառական կեանքի տնտեսական, կրթական և այլ ընթացիկ կարիքների մասին. բ. Թղթակցութիւններ և լուրեր. բ. ԹԱՏՐՈՆ ԵՒ ԵՐԱԺՇՏՈՒԹԻՒՆ.—Ամփոփ տեսութիւններ թէ տեղական (հայ և օտար) և թէ գաւառական ներկայացումների, համերգների ու հանդէսների մասին։ 5. ՏԵՂԱԿԱՆ ԿԵԱՆՔ.—Լուրեր, տեղեկութիւններ ու յօդուածներ Թիֆլիսի կեանքից։ 6. ԸՆԿԵՐՈՒԹԻՒՆՆԵՐ ԵՒ ՀԻՄՆԱՐԿՈՒԹԻՒՆՆԵՐ.—ա. Հաշիւներ ու տեղեկութիւններ գիտական, դաստիարակական, առևտրական-արդիւնաբերական և հասարակական հիմնարկութիւնների մասին. բ. ԳԻՏԱԿԱՆ ՆՈՐՈՒԹԻՒՆՆԵՐ.—Ինքնուրոյն տեղեկութիւններ և թարգմանական քաղուածքներ օտար մամուլից։ 7. ՄԱՄՈՒԼԻ ՏԵՍՈՒԹԻՒՆ ԵՒ ՔՆՆԴԱՏՈՒԹԻՒՆ.—ա. Քաղուածքներ հայ և օտար մամուլից խմբագրական բացատրութիւններով ու նկատողութիւններով. բ. Քննադատական յօդուածներ. 8. ԹՂԹԱԿՑՈՒԹԻՒՆՆԵՐ։ 9. ՄԱՏԵՆԱԽՕՍՈՒԹԻՒՆ.—ա. Ռեցէնզիաներ հայերէն լեզուով լոյս տեսած գրքերի մասին. բ. Ամփոփ տեղեկութիւններ օտար լեզուներով լոյս տեսած գրքերի մասին, մանաւանդ հայերին, նրանց դրացիներին և մերձաւոր աշխարհին վերաբերեալ. գ. Խմբագրատանն ստացուած գրքերի ցուցակը։ 10—11 ԲԱՆԱՍԻՐԱԿԱՆ.—ա. Ինքնուրոյն և թարգմանական վէպեր, մանրավէպեր, բանաստեղծութիւններ ու պատկերներ. բ. Սօցիալական-տնտեսագիտական ամփոփ յօդուածներ ու տեսութիւններ. գ. Գրական և գիտական տեսութիւններ. դ. Բժշկական և առողջապահական յօդուածներ. ե. Երգիծաբանական գրուածքներ։ ԱՐԴԻՒՆԱԳՈՐԾՈՒԹԻՒՆ ԵՒ ՎԱՃԱՌԱԿԱՆՈՒԹԻՒՆ.—Տեսութիւններ և տեղեկութիւններ արդիւնագործութեան և վաճառականութեան մասին։ Աշխատաւոր դասակարգի կեանքն ու կարիքները։ 12. ՏԵՂԵԿԱՏՈՒ.—ա. Մուրհակներ և բորսա. բ. Օրացոյց. գ. Այսօր (տեղեկութիւններ ժողովների, հանդէսների և ներկայացումների մասին). դ. Ճանապարհորդութիւն. (տեղեկ. երկաթուղիների և նաւերի մասին)։ ԽՈՐՀՐԴԱՏՈՒ.—Խորհուրդներ և պատասխաններ ընթերցողների առաջարկած իրաւաբանական, բժշկական հարցերին։ ՆԱՄԱԿՆԵՐ ԽՄԲԱԳՐՈՒԹԵԱՆ. ՓՈՍՏԱՐԿՂ։ 13. ՅԱՅՏԱՐԱՐՈՒԹԻՒՆՆԵՐ։ 14. ՊԱՏԿԵՐՆԵՐ։

Յօդուածներ կարելի է ուղարկել այժմանից։

Բաժանորդագրութեան պայմաններ.

Թիֆլիսի և Ռուսաստանի համար՝	Արտասահմանի համար՝
4 ամիսը (սեպ.—յուն.) 2 ռ. 50 կոպ.	4 ամիսը 4 ռ.=9 մարկ
3 » 2 »	=11 ֆրանկ=9 շիլինգ
2 » 1 » 50 »	
1 » » » 75 »	=2 դոլար։

Խմբագիր-Հրատարակիչ՝ Գ. Մելիք-Կարագեօզեան

Առաջիկայ սեպտեմբեր ամսից Գ. Մելիք-Կարագեօզեանի հրատարակութեամբ սկսելու է լոյս տեսնել նաև «Кавказскій Вѣстникъ» ռուսերէն ամսագիրը, որի նպատակն է լինելու՝ նպաստել Կովկասի զանազան ազգութիւնների փոխադարձ մերձեցմանը, նրանց համախմբել ընդհանուր քաղաքակրթական շահերի շուրջը և միևնոյն ժամանակ ռուս հասարակութեան առաջ պատկերացնել Կովկասի ընթացիկ կեանքն ու կարիքները։

Այդ նպատակով արդէն որոշ համաձայնութիւն է կայացել վրաց առաջադիմական «Ցնոբիս Փուրցելի» թերթի խմբագրութեան հետ։

«Кавк. Вѣст.»-ի բաժանորդագինն է 4 ամիսը (սեպ.—յունուար) 3 ռուբ.

«Արշալոյս» և «Кавк. Вѣст.» միասին ստացողները պէտք է վճարեն Ռուսաստանում 4 ամիսը—3 ռ. 75 կոպ., արտասահմանում 6 ռ. Բաժանորդ գրուել կարելի է խմբագրատանը (Թիֆլիս, Գանովսկայա փող. № 11). օտար քաղաքներից պէտք է դիմել. Тифлисъ, Редакція газеты «Аршалуйсъ» կամ Tiflis, Rédaction du Journal «Arschalouis».

«Արշալոյսի» գործակալներն են.

Ալէքսանդրապօլում—Ա. Խզմալեան, Երևանում—«Արարատ» գրավաճառանոցը, Կարսի շրջանում—Տէր-Թովմասեան, Ղարաքիլիսայում—Խ. ք. Խանզադեան և Վ. Արարատեան, Նուխում—Գ. Ղարեան, Բաքուում—Յ. Փիլոյեան, Բաթումում—«Сотрудникъ» գրավաճառանոցը, Ախթի շրջանում—Ա. Յովհաննիսեան, Մոզդոկում—Յ. ք. Խաչատրեան, Աստրախանում—Ս. ք. Տէր-Յովհաննիսեան. Հայաբնակ միւս քաղաքներում էլ շուտով կը հաստատուեն յատուկ գործակալութիւններ։

Доз. ценз. Тифлисъ, 26 Августа 1905 г.

Печ. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამ—ბა